# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 11 მაისი. 2023 წ. №53 (9585) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# SOS! ევროპა და ამერიკა სულიერი წარღვნის პირისპირ!



ლიბერალური იდეოლოგია და „სექსუალური გეი იესო“...

იხ. 3 გვ.

## 17 მაისს ქაშვეთის ტაძარში ოჯახის სიწმინდის პარაკლისი, ხოლო შემდეგ მსვლელობა გაიმართება!

17 მაისს, 12:00 საათზე ქაშვეთის ტაძარში ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით მეუფე შიო პარაკლისს აღავლენს. პარაკლისის შემდეგ კი შედგება საზეიმო მსვლელობა-ლიტანიობა ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრამდე, სადაც ასევე შესრულდება სამადლობელი პარაკლისი.

„ჩვენი ეკლესიის ძვირფას შვილებს,ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა იყოს თქვენთანა!

2014 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოცხადდა.

მშვენიერ ტრადიციად ქცეული ჩვეულებრივობით ვიკრიბებით ყველა, სამღვდელოება და მრევლი, ოჯახებთან ერთად!

უფალმა დაგლოცოთ!“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## მომძღვნელმან პურისა და სარჩოსი, ავაზაკმან და უძღებმან შვილმან ევროპისა და საქართველოსი...



4

## დავით გაბუნია

### ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის დამფუძნებელი

6



80

## უკრაინას ჰყავს კორუმპირებული ხელისუფლება!



5

არახამიას მუქარის კვალდაკვალ

## პაატა ნაცვლიშვილი

### პერფექციონისტის შთანახატები



5

„მეფე ჩარლზ III“-ისა, „ალუდა ქეთელაურისა“ და „წერილისა“

## „ცხინვალის მაცნე“ 90 წლისაა...

8

იუბილარი გაზეთი საფრთხეშია!

## ნუგზარ ბ. რუხაძე

### ეთიკის კომისიაა თუ... ინკვიზიცია?!

9

## უფრთხილდით თაღლითებს!!!

2

ეროვნული ბანკი მომხმარებლებს შესაძლო თაღლითური სქემის შესახებ აფრთხილებს



## მხოლოდ მთავარზე

# რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა და პირდაპირი ფრენები აღადგინა

**რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა. შესაბამისი განკარგულება რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა გამოსცა.**

**განკარგულების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი 15 მაისიდან უქმდება.**

**რუსეთის პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება სამართლებრივი ინფორმაციის ოფიციალურ ინტერნეტპორტალზე გამოქვეყნდა. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ტერიტორიაზე შესვლას პასპორტით შეძლებენ. გამონაკლისი ვრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომლებიც რუსეთში სამუშაო მიზნით ჩადიან ან 90 დღეზე მეტი ვადით გეგმავენ დარჩენას.**

* * *

**რუსეთმა საქართველოში პირდაპირი რეისების და ტურების გაყიდვის აკრძალვა გააუქმა. ვლადიმერ პუტინის შესაბამისი განკარგულება რუსეთის სამართლებრივი ინფორმაციის ოფიციალურ ინტერნეტპორტალზე გამოქვეყნდა.**

რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებით, უქმდება 2019 წლის 21 ივნისის განკარგულება **„რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების დაცვის ცალკეული ზომების შესახებ“.**

რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ავიამიმოსვლა თბილისში ანტირუსული საპროტესტო გამოსვლების ფონზე, 2019 წლის ზაფხულში შეაჩერა.

# სალომე ზურაბიშვილი: ეს მორიგი რუსული პროვოკაციაა...

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის გაუქმებას მორიგ პროვოკაციას უწოდებს.

**„მორიგი რუსული პროვოკაცია. პირდაპირი ფრენების აღდგენა და სავიზო შეზღუდვის მოხსნა საქართველოსთან მიუღებელია, ვიდრე რუსეთი განაგრძობს აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ და ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციას“,** – წერს პრეზიდენტი.

# პრეზიდენტი ისევ ვეტოთი იმუქრება...

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ცესკო-სთან დაკავშირებულ კანონპროექტს, მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტი ვეტოს დაადებს.**

როგორც გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ერთპარტიული დანიშვნები ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრიობას და ევროპულ მომავალს.

**„უკვე მესამედ, მმართველი უმრავლესობა ცვლის კანონებს იმ მიზეზით, რომ პრეზიდენტმა არ წარადგინა მათთვის სასურველი კანდიდატები კონკრეტულ თანამდებობებზე. ესენია: ელჩები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, ცესკო-ს თავმჯდომარე და წევრები. სამივე შემთხვევაში პრეზიდენტის პრინციპული პოზიცია გამომდინარეობს სახელმწიფო და არა – პირადი ინტერესებიდან. პრეზიდენტი კანდიდატურების შერჩევისას ხელმძღვანელობს მათი დამოუკიდებლობის ხარისხითა და მიუკერძოებლობით. პრეზიდენტი ეჭვქვეშ არ აყენებს მათ კვალიფიკაციას, მაგრამ პრინციპულად მიაჩნია, რომ ასეთ თანამდებობებზე ერთპარტიული დანიშვნები ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრიობას და ევროპულ მომავალს. ამდენად, ამ კანონსაც პრეზიდენტი ვეტოს დაადებს“,** – ნათქვამია განცხადებაში.

„საარჩევნო კოდექსსა“ და რეგლამენტში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ცესკო-ს თავმჯდომარისა და რამდენიმე წევრის კანდიდატების შერჩევის და პარლამენტისთვის წარდგენის უფლებამოსილება, პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარეს ექნება.

# ირაკლი ბერაია ბერლინში გერმანელ კოლეგას შეხვდა

**თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია და კომიტეტის წევრები, ხატია წილოსანი და ალექსანდრე ელისაშვილი, გერმანიის ბუნდესტაგის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, მარი აგნეს შტრაკ-ციმერმანს შეხვდნენ.**

შეხვედრაზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა რეგიონული უსაფრთხოების გარემო, ომი უკრაინაში და მისი გავლენა საქართველოზე, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესი, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა, ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების შესაბამის კომიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება.

პარლამენტის წევრებმა ბუნდესტაგის კომიტეტის თავმჯდომარეს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს. ირაკლი ბერაიამ გერმანელი კოლეგა თბილისში მოიწვია. შეხვედრას გერმანიაში საქართველოს თავდაცვის ატაშე, ბრიგადის გენერალი შავლეგო ტაბატაძე და საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, თამარ კაკულია ესწრებოდნენ.



# უფრთხილდით თაღლითებს!!!

## ეროვნული ბანკი მომხმარებლებს შესაძლო თაღლითური სქემის შესახებ აფრთხილებს

**საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ ინტერნეტსივრცეში ფინანსური თუ პირადი მონაცემების მითითებისას,** – ამის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

**„პერიოდულად სხვადასხვა სოციალურ ქსელებში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს სხვადასხვა ვებგვერდზე, მათი პირადი ინფორმაციის შევსების სანაცვლოდ, გარკვეული ფულადი თუ სხვა პრიზების მოგების დაპირებით, გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობენ. ამასთან, რამდენიმე შემთხვევაში გათამაშების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის სახელითაც გავრცელდა. მათ შორის, მომხმარებლებს ამ შეთავაზებების სხვა პირებთან გავრცელებისკენ უბიძგებდნენ. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული ბანკი არანაირი მსგავსი სახის ონლაინგათამაშების ორგანიზებას არ ახდენს. გასათვალისწინებელია, რომ პირადი ინფორმაციისა თუ მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში არსებობს ამ ინფორმაციის მოპოვებით დაინტერესებული პირების მიერ სხვადასხვა თაღლითური ოპერაციის განხორციელების რისკი.**

**საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ ინტერნეტსივრცეში ფინანსური თუ პირადი მონაცემების მითითებისას, პირველ ყოვლისა, გადაამოწმონ და კარგად დააკვირდნენ ვებგვერდის მისამართს, სადაც შეჰყავთ ინფორმაცია, მოიძიონ აღნიშნული კომპანიის სანდოობისა და საქმიანობის შესახებ მონაცემები, ხოლო თუ კომპანია, ერთი შეხედვით, სანდო და ნაცნობია, გადაამოწმონ შეთავაზების ნამდვილობა.**

**დამატებით მოგიწოდებთ, დაიცვათ შემდეგი წესები: შემოწმების გარეშე არ გადასცეთ სხვა პირებს პირადი მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ფინანსური ოპერაციების უნებართვო განხორციელება. გადაამოწმეთ ვებგვერდის მისამართი – ფინანსური მომსახურების გამოყენებამდე შეამოწმეთ ის მისამართი, სადაც მონაცემების შეყვანას აპირებთ. შეაფასეთ ვებგვერდის შიგთავსი (კონტენტი). ყალბი ვებგვერდის შექმნისას დიდი ყურადღება და რესურსი ეთმობა იმას, რომ ის ნამდვილი, ოფიციალური ვებგვერდის მსგავსი იყოს. დააკვირდით, რომ ტექსტი შინაარსობრივად იყოს გამართული და არ შეიცავდეს ორთოგრაფიულ შეცდომებს. უკიდურესი სიფრთხილით მოეკიდეთ სოციალურ ქსელებში არსებულ ფინანსურ შეთავაზებებს. გადაამოწმეთ ვებგვერდის მფლობელი – საიტზე www.WHO.is მომხმარებელს კონკრეტული მისამართის ნამდვილობის გადამოწმება შეუძლია. გადახდის სანდო წყარო – ნამდვილი ან ოფიციალური ვებგვერდი მომხმარებელს ყოველთვის მოსთხოვს გადახდის განხორციელებას საგადახდო ბარათის ან ოფიციალური პორტალის (მაგ., PayPal) მეშვეობით. დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე – 032 2 406 406“,** – ნათქვამია განცხადებაში.

# აზერბაიჯანის მეგობრობის ბაღი ბოტანიკურში...

**გუშინ საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. აზერბაიჯანის საელჩოს მიერ ბოტანიკური ბაღისათვის საჩუქრად გადაცემული 100 ბროწეულის ნერგით ჰეიდარ ალიევის მემორიალური ბაღი გაშენდა. ბროწეული აზერბაიჯანის ეროვნული ხილია.**

იგი საუკუნეების განმავლობაში აზერბაიჯანულ კულტურაში ნაყოფიერების, სიმდიდრის, კეთილდღეობისა და სტუმართმოყვარეობის სიმბოლოდ არის აღიარებული. მემორიალურ ბაღში დარგული ბროწეულის ნერგები გამოყვანილია აზერბაიჯანის ბროწეულის წარმოებისა და ექსპორტის საზოგადოებრივი გაერთიანების სანერგეებში. მოწვეულმა სტუმრებმა მოინახულეს საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში არსებული აზერბაიჯანელ მოღვაწეთა პანთეონიც. ღონისძიებას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში ფაიგ გულიევი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი ირინე დანელია, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, სამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული ოფიციალური სტუმრები. ბოტანიკური ბაღის დირექტორმა ირინე დანელიამ აღნიშნა, რომ მემორიალური ბროწეულის ბაღი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის ისტორიული მეგობრობის განმტკიცებაში.

ბოტანიკურ ბაღში „ჰეიდარ ალიევის მემორიალური ბაღი“ საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოსა და კომპანია „SOCAR“-ის ინიციატივით გაშენდა.

**სოფიო მეტრეველი**







ზაზა შათირიშვილი:

# ლიბერალური იდეოლოგია და „სექსუალური გეი იესო“...







**ლიბერალურ იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო ადამიანის უფლებების დაცვასთან, მისი მიზანია შეარყიოს ყველა ის საყრდენი, რომელსაც ევროპისა და ევროპული ერების იდენტობა ეფუძნება,** – ამის შესახებ ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი წერს.

**„ევროპარლამენტში გამართულმა გამოფენამ, რომლის არაფორმალური სათაური იყო „სექსუალური გეი იესო“, კიდევ ერთხელ გამოავლინა ოლიგარქიული ოჯახების მიერ შექმნილი ე.წ. ლიბერალური იდეოლოგიის ნამდვილი არსი და მიზნები. ამ იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო ადამიანის უფლებების დაცვასთან. სინამდვილეში, მისი მიზანია შეარყიოს ყველა ის საყრდენი, რომელსაც, ამ შემთხვევაში, ევროპისა და ევროპული ერების იდენტობა ეფუძნება. ამ საყრდენთა შორის ისტორიულად ყველაზე ძლიერი სწორედ ქრისტიანობაა და აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ოლიგარქიული ოჯახების მტრული სტრატეგიის მთავარი სამიზნე სწორედ ქრისტიანობა და ქრისტიანული დოგმებია.**

**ლგბტ პროპაგანდასთან ერთად, იმავე მიზანს ემსახურება სამეფო ოჯახების წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაციები. ამის მაგალითი იყო ესპანეთის მეფის წინააღმდეგ აგორებული კორუფციული სკანდალი, ბრიტანეთის სამეფო ოჯახში მეგან მარკლის გამოჩენა, რაზეც უინძორებმა, საბედნიეროდ, დროული რეაგირება მოახდინეს და სხვ. იმავე მიზანს ემსახურება მრავალრიცხოვანი სკანდალები კათოლიკურ ეკლესიაში, რომლებიც მისი რეპუტაციის შერყევასა და დასუსტებას ისახავს მიზნად.**

**ევროპულ იდენტობას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მიგრაციული სქემები, რომელთა მეშვეობით ავთენტურ ევროპულ მოსახლეობას თანდათანობით აზიელი და აფრიკელი მიგრანტები ანაცვლებენ. რამდენიმე ათეული წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყველაზე კონსერვატიულ სახელმწიფოში - დიდ ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრი ინდოელი, ხოლო ლონდონის მერი და შოტლანდიის პირველი მინისტრი პაკისტანელები იქნებოდნენ. ევროპის დიდი ქალაქების უმრავლესობის მოსახლეობაში ადგილობრივებს უკვე უცხოელი მიგრანტები ჭარბობენ, რაც ევროპას ძალიან მალე მისი ავთენტური სახის სრულად დაკარგვას უქადის. აგენტოკრატიის პირობებში, ევროპულ საზოგადოებებს ამ გარედან თავსმოხვეულ პრობლემასთან დაპირისპირების არავითარი რესურსი არა აქვთ.**

**ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა სოციოლოგიური კვლევა ამერიკაში ლგბტ პირთა შესახებ. ამ კვლევამ აჩვენა, რომ საკუთარ თავს ლგბტ პირად 42 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 2,5 პროცენტი ასახელებს, თუმცა, 26-41 წლის ასაკის მოსახლეობაში აღნიშნული მაჩვენებელი 11 პროცენტს, ხოლო 18-25 წლის ასაკის მოსახლეობაში - 20 პროცენტს შეადგენს. ფსევდოლიბერალები და ლგბტ აქტივისტები წლების მანძილზე გვიმტკიცებდნენ, რომ პროპაგანდით ადამიანის სექსუალურ ორიენტაციაზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო. თუმცა, ამერიკული კვლევა და ლგბტ პირთა სწრაფად მზარდი სტატისტიკა სრულიად საპირისპიროს ადასტურებს. თუ ოლიგარქიული ოჯახების ჩანაფიქრი მსოფლიო მოსახლეობის ათჯერ შემცირების შესახებ აქამდე ვინმეს არარეალურად ეჩვენებოდა, ლგბტ პირების ამერიკული სტატისტიკის გაცნობის შემდეგ, წესით, საკუთარი აზრი სერიოზულად უნდა შეეცვალოდა.**

**ფაქტია, რომ ოლიგარქიულ ოჯახებს საკუთარი ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით ყველაფერი ჰაქსლისა და ორუელის მიერ „საოცარ ახალ სამყაროსა“ და „1984-ში“ აღწერილი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ მიჰყავთ. თუ ფსევდოლიბერალური იდეოლოგია კონსერვატიზმის ახალმა ტალღამ არ ჩაანაცვლა, ევროპის დეგრადაცია და იდენტობის მოშლა, რაც საბოლოოდ ევროპის კეთილდღეობის საყრდენის მორყევასაც გამოიწვევს, გარდაუვალი იქნება. ასეა თუ ისე, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ოლიგარქიული ოჯახებისა და ფსევდოლიბერალების მანკიერი გეგმების მსხვერპლი ჩვენი ქვეყანა არ გახდეს. ამისათვის, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ზეწოლასთან გამკლავება, ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას წინ უნდა აღვუდგეთ და უცხოელ აგენტებს საქართველოში მისი შემდგომი გავრცელების შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით და სიბრძნით არ დაუშვებს ერისთვის ფიზიკურად და სულიერად დამღუპველი იდეოლოგიის გამარჯვებას“!..**

# რატომ ეძებს მაზაკვალი ოპოზიცია ხელისუფლების დამარცხების ფორმულას?!



## შედგება თუ არა გახარიას და ხაზარაძის ალიანსი?

**ოპოზიცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფლების დამარცხების გზას ეძებს. როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, თუკი 5%-იანი ბარიერი დარჩება, მაშინ პარლამენტში მხოლოდ ორი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“და „ოცნება“ მოხვდებიან, მმართველი გუნდი კი ხელისუფლებაში მე-4 ვადით დარჩება.**

ანალიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ წარმატება მხოლოდ პოლიტიკური ერთობითაა შესაძლებელი და ასახელებენ იმ ორ პარტიას, რომელმაც შესაძლოა პოლიტიკურ ველზე 2024 წელს პროცესები რადიკალურად შეცვალოს. თავდაცვის ყოფილი მინისტრის **თინა ხიდაშელის** თქმით, ერთი ექსპრემიერი **გიორგი გახარიაა**, მეორე – **მამუკა ხაზარაძე** და დროა, „ლელომ“ და გიორგი გახარიას პარტიამ „საქართველოსთვის“ გაერთიანებაზე იფიქრონ.

თუმცა, ასე არ ფიქრობენ არც მამუკა ხაზარაძის და არც გიორგი გახარიას პარტიაში, ორივე მათგანს ამბიცია აქვს, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვას შეძლებენ.

დავით უსუფაშვილის თქმით, „ლელოს“ მიაჩნია, რომ ქვეყანას სჭირდება ახალი პოლიტიკა, ახალი პოლიტიკური, მორალური და ზნეობრივი სტანდარტები, თუმცა კონკრეტული საუბარი ვინმესთან გაერთიანებაზე არ მიდის.

**„ამ სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ჩვენ ვართ ღია პარტია. კონკრეტული საუბრები ვინმესთან გაერთიანება-არგაერთიანებაზე არ მიდის. ჩვენ უკვე ძალიან მკაფიოდ გვაქვს ნათქვამი, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ვერ წარმოგვიდგენია რაიმე პოლიტიკური ალიანსი. გვაქვს ნათქვამი, რომ გახარიას ძალიან ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი. ვიდრე დღის წესრიგში დადგება რაიმე ტიპის თანამშრომლობა არჩევნებამდე ან არჩევნების შემდეგ, ამ პრინციპების დაცვით გავაგრძელებთ ჩვენს ცხოვრებას“,** – განაცხადა უსუფაშვილმა.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ფიქრობს, რომ „ლელოს“ და გიორგი გახარიას პარტიის გაერთიანება არ ნიშნავს, რომ მათი ამომრჩეველიც გაერთიანდება, რადგან ეჭვი ეპარება, რომ ხაზარაძეს და გახარიას ერთი კატეგორიის ამომრჩეველი ჰყავდეს.

**„პირიქით, შესაძლოა ამან მათი მხარდამჭერების იმ რაოდენობის დაკარგვაც კი გამოიწვიოს, რაც ახლა ჰყავთ. გახარიას ამომრჩეველი უფრო „ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერები არიან, რომლებიც, საქმე-საქმეზე რომ მიდგეს, ხმას ისეც „ოცნებას“ მიცემენ. ხაზარაძეს უფრო „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსი მხარდამჭერები ჰყავს. ამიტომ მათი გაერთიანება შესაძლოა, პირიქით, ამ პარტიებისთვის ძალიან დამაზიანებელიც კი აღმოჩნდეს. მათ ცალ-ცალკე ვერ შეძლეს მომხრეების დიდი ჯგუფების გადაბირება და გაერთიანებით რატომ მოახერხებენ, გაუგებარია. გახარიას ამხელა მხარდაჭერა ჰქონდა და ახლანდელი კვლევების მიხედვით 5%-მდეც არ აქვს. იგივეა ხაზარაძის შემთხვევაშიც. მათი რეიტინგი დროთა განმავლობაში უკან-უკან წავიდა. ვნახეთ უკვე გამოცდილებით, რომ ვისაც ინდივიდუალურად მხარდაჭერის მოპოვება შეუძლია, იმას ასეთი გაერთიანება არაფერში აღარ სჭირდება. მაგალითად, 2012 წელს, როცა ბიძინა ივანიშვილმა რაღაცა მსგავსი კოალიცია შექმნა და ხელისუფლებაშიც მოვიდა, დაინახა, რომ დამოუკიდებლად მხარდამჭერები მათ გარეშეც ჰყავს და ეს კოალიცია ჩამოიშორა. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუკი დამოუკიდებლად პოლიტიკური ლიდერები ხალხის მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ, გაერთიანებით რას მიიღებენ, გაუგებარია. ეს ვერსია ძალიან ღიმილის მომგვრელი მგონია“,** – ამბობს საყვარელიძე.

მამუკა ხაზარაძეს და გიორგი გახარიას, ერთმანეთთან ბევრი რამ აქვს გასარკვევი. საყვარელიძის თქმით, ხაზარაძე და ჯაფარიძე, ფაქტობრივად, იმიტომ წავიდნენ პოლიტიკაში, რომ გახარიას შევიწროვებაში სდებდნენ ბრალს და ანაკლიის საქმეშიც ხელს გახარიას ადებდნენ.

**„ქართველებს ყველაზე მეტად უპრინციპო პოლიტიკოსები არ უყვარს. იმიტომ გვაქვს სწორედ ახლა პოლიტიკურ ველზე ასეთი ცუდი მდგომარეობა, რომ პოლიტიკოსის გულწრფელობაში ამომრჩეველი არ არის დარწმუნებული. ხაზარაძე-გახარიას შემთხვევაშიც ასე იქნება. მათ ამომრჩეველს დაებადება კითხვა, იმ ბრალდებების შემდეგ, ამ ადამიანებს რა ღირებულებებიდან გამომდინარე უნდა დაუჭირონ მხარი?! ერთმანეთს რას აღარ აბრალებდნენ და მათ სიტყვას აღარ დაიჯერებენ. ამომრჩეველს არ მოსწონს ხოლმე პოლიტიკოსების მხრიდან პრინციპებზე უარის თქმა. ამიტომ, ეს კიდევ ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება იქნას გამოყენებული, რატომ არ უნდა მოხდეს მათი გაერთიანება. რაც შეეხება ხაზარაძეს და გახარიას, მათ მიმართ საზოგადოებაში გარკვეული მოლოდინი არსებობდა, განსაკუთრებით გახარიას მიმართ, მაგრამ მან თავისი პასიურობით, ეს მხარდაჭერის რესურსი გაფლანგა. გახარიამ დაუშვა შეცდომა, როცა მიდიოდა ოპოზიციურ ტელევიზიაში, რომელსაც დიდწილად ნაციონალების ამომრჩეველი უყურებს. ის არ ელაპარაკებოდა იმ ამომრჩეველს, რომელიც მისი იყო. აქ ვგულისხმობ „ოცნებიდან“ გამოყოლილ ელექტორატს. ამან კი გამოიწვია ის, რომ ვერც ენმ-ის ამომრჩეველი მიიმხრო და ის ამომრჩეველიც დაკარგა, რომელიც „ოცნებიდან“ გადაიბირა.**

**რაც შეეხება ხაზარაძეს, მისი უფრო მესმის, რადგან მას გახარიასგან განსხვავებით, არ ჰქონდა პოლიტიკური ბეგრაუნდი და მხარდაჭერა. ის იძულებული იყო საკუთარი თავი ბიზნესმენიდან პოლიტიკოსად გადაეკეთებინა. რამდენად გამოუვიდა, ფაქტი სახეზეა, მაგრამ მას სხვა გზა არ ჰქონდა. გახარიას კი პირიქით, პრემიერობის დროს საკმაოდ კარგი პოლიტიკური რესურსი გააჩნდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. როგორც ჩანს, ცალკე, როგორც პოლიტიკური მოთამაშე, ნიჭიერი ვერ აღმოჩნდა. ყველაფერს ხომ ვერ მოახერხებს ადამიანი“,** – ამბობს საყვარელიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

**„მისტერ ოფშორი“ – ოლიგარქმა დავით კეზერაშვილმა, რომელიც ე.წ. ქოლცენტრების საქმის მთავარი ფიგურანტია, თავის გადარჩენის მიზნით პარტნიორების ჩაშვება დაიწყო. არსებული ინფორმაციით, სწორედ კეზერაშვილისგან გადის ინფორმაცია საქართველოში არსებული ქოლცენტრების შესახებ. როგორც ჩანს, კეზერაშვილის მიზანი მის ხელთ არსებული ქოლცენტრების ქვეყნიდან გატანას ცდილობს.**

**კეზერაშვილის დავალებაა, ოპოზიციამ შექმნას საგამოძიებო კომიტეტი, რათა მათ ხელში მოხვდეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ან საგამოძიებო სივრციდან გაქრეს ისინი“**



# მომძღვნელმან პურისა და სარჩოსი, ავაზაკმან და უძღებმან შვილმან ევროპისა და საქართველოსი...

**როგორც ირკვევა ვაშაძე-არახამიას მფლობელობაში არსებული „ქოლცენტრების“ შესახებ ინფორმაცია სწორედ კეზერაშვილის მიერ მართული ჯგუფისგან გავიდა, კერძოდ, – „ნაციონალური მოძრაობიდან“ და ასევე ამ საქმეში ე.წ. ჟურნალისტური გამოძიების სახით ჩართულია ტელეკომპანია „ფორმულა“, თუმცა, როგორც ირკვევა, ყველა კვალი კეზერაშვილამდე მიდის.**



დავით ვაშაძე

რაც შეეხება ვაშაძე-არახამიას განკარგულებაში არსებულ „ქოლცენტრს“, აღმაშენებლის 75 ნომერში შპს „მისანს“ ეკუთვნის, რომლის 25%-ს **გიორგი ვაშაძის** ძმა, **დავით ვაშაძე** ფლობს. დოკუმენტებით ირკვევა, რომ ვაშაძის კომპანიამ ფართი, 4 ათას ლარად, შპს „ლაიონს შვიდი გრუპს“ მიაქირავა. მხარეებმა ხელშეკრულება 2023 წლის 13 აპრილს, ერთი წლის ვადით გააფორმეს. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მოიჯარე კომპანიის 100%-იან წილს **დავით არახამიას** ძმა, **მიხეილ არახამია** ფლობს, რომლებიც ერთობლივად ფლობდნენ ე.წ. ქოლცენტრებს. არაოფიციალური ინფორმაციით, ვაშაძე-არახამიას კლანი არაერთ ანალოგიურ ქოლცენტრს ფლობენ კიევში.

ის, რომ აღმაშენებლის 75-ში ვაშაძეს მართლა ჰქონდა ოფისი, სადაც კომპიუტერული ტექნიკა იყო განთავსებული, ამის შესახებ ისაუბრა „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრმა **პაატა მანჯგალაძემ**, რომლის განცხადებით, ადგილზე არის ძველთაძველი საწყობი, სადაც ხუთი წელია, პარტიის კომპიუტერებია შენახული. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს **გიორგი ვაშაძე** და აცხადებს, რომ არაფერი ძველი კომპიუტერი იქ არ არის და ეს არის ტყუილი.

**„შეიძლება, პაატამ სხვა ოფისი იგულისხმა. ამ ოფისთან ჩემ გარშემო არავის აქვს კავშირი. ეს არის რუსული დეზინფორმაცია. მათ ვპირდები, რომ პასუხს აგებენ. ამ შენობაში ჩემი ძმა თავისი წილის ფარგლებში სასტუმროს ფლობს და განმარტება თავად გააკეთა. როგორც ვარკვევ, ეს ოფისი ახლახან გაიხსნა. ეს არის დაგეგმილი სპეცოპერაცია სუს-ის მიერ, რომ ერთ თვეში გახსნილი ოფისი დაეხურათ. ეს თუ დანაშაულებრივი ოფისი იყო, რატომ არავინ არის დაკავებული? თავად არიან ამ ძარცვის სათავეში და ამიტომ არ უნდათ კომისიის შექმნა. ღიად და ცალსახად ვამბობ, რომ ამ ოფისთან არანაირი კავშირი არ გვაქვს არც მე და არც ჩემს ძმას. ერთადერთი კავშირი აქვს ლილუაშვილს, გომელაურსა და მთავარ პროკურორს“**, – აცხადებს **გიორგი ვაშაძე.**

ამ სკანდალურ საქმეთა მთელ სქემას გენერალურ პროკურატურასთან ერთად გერმანელი სამართალდამცავები იძიებენ. გამოძიების პარალელურად კეზერაშვილი ახალი სახელების გასაჯაროვებით არის დაკავებული და როგორც ამბობენ, „მისტერ ოფშორის“ გეგმაა, ჩაუშვას ყველა და არა მარტო საქართველოში. არაოფიციალური ინფორმაციით, „ქოლცენტრები“ არის საქართველოდან გაქცეული ყოფილი მაღალჩინოსნების არსებობისა და გამდიდრების მთავარი წყარო და ამ მხრივ საინტერსოა საბერძნეთი, რომელიც ძებნილი მაღალჩინოსნების თავშესაფარი გახდა.

**სანამ „მისტერ ოფშორი“ მორიგ სქემას გაასაჯაროვებს, მისივე დაფინანსებული ოპოზიცია პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს, რადგან თვლის, რომ ევროპელი პენსიონრების ძარცვაში არა ოპოზიციის ჩართულობა, არამედ ხელისუფლების მაღალჩინოსნების ჩართულობა იკვეთება. ხელისუფლების პასუხი მარტივია – საქართველოს პროკურატურისა და გერმანიის საგამოძიებო ორგანოების პარალელურად პარლამენტში საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება.**

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ნაცვლად იმისა, რომ დეპუტატის უფლებამოსილება შეასრულონ, მოინდომეს, რომ გამომძიებლები გახდნენ და აქ ეძებენ საკუთარი თავის რეალიზაციას. **შალვა პაპუაშვილის** შეფასებით, ეს აჩვენებს, რამდენად სკანდალზე და არევაზე ორიენტირებული ოპოზიცია ჰყავს დღეს საქართველოს და არა, ხელისუფლებას.

**„სინამდვილეში, ეს არის საქართველოს ოპოზიცია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შექმნას ნეგატიური ფონი იმისთვის, რომ როდესაც ევროკავშირს გადაწყვეტილება ექნება კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, ასეთი ნეგატიური ფონი და ასეთი მღელვარებით იხელმძღვანელოს და არა იმ შედეგით, რომელსაც საქართველო აღწევს“...**

მმართველ გუნდში აცხადებენ, ოპოზიციონერებისგან, რომელთა მთავარი დამფინანსებელი დავით კეზერაშვილია, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ე.წ. ქოლცენტრები ჰქონდეთ, რადგან მათ არ აქვთ არანაირი შემაფერხებელი და მორალური მუხრუჭი ამ მიმართულებით. პარლამენტის ვიცე-სპიკერის, **გია ვოლსკის** განცხადებით, ადამიანები, რომელთა გვარებიც საეჭვო გარემოებებიდან გამომდინარე, „ქოლცენტრებს“ უკავშირდება, საპარლამენტო კომისიის შექმნას არ უნდა ითხოვდნენ.

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** ფიქრობს, რომ, დიდი ალბათობით, შალვა პაპუაშვილის ვერსია ყველაზე ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. დაინტერესებული მხარე იყენებს პარტია „საქართველოს“ ინიციატივას, შეიქმნას საპარლამენტო-საგამოძიებო კომისია ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეზე. იყენებს იმისთვის, რომ გაასაჯაროვოს ამ საერთაშორისო გამოძიების ფარგლებში ქართული მხარის ხელში არსებული დახურული საგამოძიებო მასალები. და ეს დაინტერესებული მხარე, ქართველიშვილის განცხადებით, რა თქმა უნდა, კეზერაშვილია. მხოლოდ მის ინტერესებში შედის წინსწრებით გაიგოს, თუ რაზეა საუბარი, რა სავარაუდო მტკიცებულებები და ეჭვები არსებობს მასთან დაკავშირებით.

**„მეხსიერებაში ეგრევე ამომიტივტივდა მსგავსი კომბინაცია, სადაც პოტენციური დაინტერესებული მხარე ასევე კეზერაშვილი იყო. 2008 წლის დეკემბერში, უკრაინის უზენაესმა რადამ ასევე შექმნა საგამოძიებო-საპარლამენტო კომისია, საქართველოსთვის სახელმწიფო საწარმო „უკრსპეცექსპორტის“ მიერ სხვადასხვა ტიპის შეიარაღების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა, მათ შორის საეჭვო გარემოებების შესწავლის მიზნით. კომისიის მუშაობის წინასწარი მონაცემებით, გამოვლინდა მთელი რიგი ფინანსური მაქინაციები, რომლის მიხედვით, დოკუმენტებში შეიარაღების ფასი დადასტურებული იქნა საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით, 3-5-ჯერ ნაკლები ოდენობით, რამაც უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტი განსაკუთრებულად დააზარალა. აღნიშნული მონაცემების წინასწარი გამოქვეყნებისთანავე, უკრაინის სბუ-მ კომისია დაადანაშაულა „სახელმწიფო საიდუმლოების“ შემცველი ინფორმაციის გამჟღავნებაში, რის გამოც კომისიის მუშაობის გახანგრძლივებაზე, 2009 წლის ივნისამდე – მას უარი ეთქვა.**

**მაშინ დაინტერესებულმა მხარემ გაიგო მისთვის საჭირო ინფორმაცია და თავისი გავლენის ქვეშ არსებული ძალებით დაასამარა საპარლამენტო გამოძიების შედეგები. დღეს ამ პროცესის დასამარება კეზერაშვილს არ ხელეწიფება, მაგრამ საკუთარი შემდგომი ქცევის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით, მის ინტერესებში შედის საინფორმაციო ვაკუუმის აღმოფხვრა, რისთვისაც იყენებს თავის სიტუაციურ მეკავშირეს – პარტია „საქართველოსთვის“**, – აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**



ვაშაძე-არახამიას განკარგულებაში არსებული „ქოლცენტრი“, აღმაშენებლის 75 ნომერში შპს „მისანს“ ეკუთვნის, რომლის 25%-ს გიორგი ვაშაძის ძმა, დავით ვაშაძე ფლობს.

რაც შეეხება ვაშაძე-არახამიას კლასტერს, ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ეჭვობს, რომ გიორგი ვაშაძე უკრაინაში საომრად არ წასულა, არამედ წავიდა იმისათვის, რომ საქართველოში და უკრაინაში არსებული დანაშაულებრივი ბიზნესის საქმეები მოეგვარებინა.

**„დამთავრდა ომი უკრაინაში?! მოაგვარა იქ საქმეები და დაბრუნდა უკან. ძალიან დიდი ეჭვი არის იმისა, რომ ვაშაძე წავიდა საკუთარი ბიზნესის მოსაგვარებლად, მოაგვარა ეს ბიზნესის ამბები და ადვილი შესაძლებელია, ეს მისი ბიზნესები დაკავშირებული იყოს დავით არახამიასთან, რომელიც ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირია უკრაინაში. შემთხვევით არაფერი ხდება – როგორ ხდება შემთხვევით ის, რომ ვაშაძის ძმის სასტუმროში ოფისი აღებული აქვს დავით არახამიას ძმას, სადაც მოქმედებდა ქოლ-ცენტრი?**

**ვაშაძის ძმის კუთვნილ ფართში ასეთი დანაშაული ხდებოდა, რომელშიც ასევე ჩართულია მისივე მეგობარი არახამია და მან არ იცოდა? ჩემი აზრით, ეს ყოვლად დაუშვებელია. როდესაც ასიათასობით ადამიანი იღუპება უკრაინაში, არახამია, რომელიც ერთ-ერთ საკვანძო თანამდებობაზეა უკრაინაში, გატაცებულია იმით, რომ საქართველოში გახსნილი აქვს „ქოლცენტრები“, რომლითაც აქაურ პარტნიორებთან ერთად, თავად ძარცვავს და აძარცვინებს ევროპის პენსიონერ მოსახლეობას. ვნახოთ, რა შედეგებს დადებს გამოძიება, მით უმეტეს, რომ გამოძიებაში ჩართული არიან გერმანელი სამართალდამცავები. დაველოდოთ მოვლენებს“**, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **ედიშერ გვენეტაძე.**

ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ კეზერაშვილი თავად ავრცელებს ინფორმაციას „ქოლცენტრების“ შესახებ, რომ როგორმე თავი გადაირჩინოს, ვინაიდან მთელი სქემა იკვეთება.

**„დავუკვირდეთ საქართველოში არსებულ ვითარებას – ყველა ხელს ახოცავს კეზერაშვილს. ის ოპოზიცია და ის ჟურნალისტები, რომელსაც ის აფინანსებდა, ყველა მათგანი ხელს იშვრეს კეზერაშვილისკენ. ამიტომ კეზერაშვილიც არაა გულხელდაკრეფილი და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს. ამიტომ, საგამოძიებო კომიტეტმა, რომელიც უნდათ რომ შეიქმნას და რომლითაც აწრიალებულია ოპოზიცია, გამახსენა ქართული ანდაზა – „პილპილი ვისაც უჭამია, იმას ეწვის კუჭიო“. ანალოგიური ვითარება არის ამ ოპოზიციონერ დეპუტატებთან დაკავშირებით.**

**რატომ უნდათ საგამოძიებო კომისიის შექმნა, მით უმეტეს, რომ მიმდინარეობს გამოძიება და დასრულებული არ არის? კანონითაც შეუძლებლია, რომ მიმდინარე გამოძიების პარალელურად შეიქმნას მეორე საგამოძიებო კომიტეტი იგივე საქმეზე. ჩემი აზრით, კეზერაშვილს დავალება აქვს მიცემული ოპოზიციისთვის, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შექმნან საგამოძიებო კომიტეტი, რათა მათ ხელში მოხვდეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მიაწოდონ შემდეგ ინფორმაცია კეზერაშვილს, ან საგამოძიებო სივრციდან გაქრეს ეს დოკუმენტები.**

**ამიტომ, ვფიქრობ, რომ კეზერაშვილის „კარმუშკაზე“ იჯდა ის ხალხი, რომლებიც დღეს თავგამოდებით მოითხოვენ იმას, რომ მოხდეს საგამოძიებო კომიტეტის შექმნა და უპირველს ყოვლისა შეგვიძლია ფიგურალური გამოთქმითაც ვთქვათ ეს – მომძღვნელმან პურისა და სარჩოსი, კეზერაშვილმა მოსთხოვა მის ქვეშევრდომებს, რომ იბრძოლონ მის გადასარჩენად“**, – დასძინა ედიშერ გვენეტაძემ.

**თამთა ქარჩავა**



## გია აბაშიძე: უკრაინას ჰყავს კორუმპირებული ხელისუფლება!

### არახამიას მუქარის კვალდაკვალ

**სიმპტომატურია, რომ არახამიას, ზელენსკის და უკრაინის დღევანდელი პოლიტიკური ელიტის კომპასი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო ტრიალებს. იმ ფონზე, როცა საქართველო აგრძელებს უკრაინის უპირობო მხარდაჭერას, მათ შორის საერთაშორისო დონეზე, უკრაინის მმართველი პარტიის „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამია ღიად ერევა საქართველოს შიდა პროცესებში და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ არ იქნება.**

გარდა ამისა, „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე ამბობს, რომ თუკი **სალომე ზურაბიშვილი** შეიწყალებს გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილეს **ნიკა გვარამიას,** ასეთ შემთხვევაში, იქნება პირველი, ვინც წავა პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან და თბილისში ელჩის გაშვებას სთხოვს.

არახამიამ ქართულ ოპოზიციურ არხთან ისაუბრა ყველაზე და ყველაფერზე, გარდა ერთისა – აქვს თუ არა საქართველოში და მათ შორის უკრაინაში ე.წ. ქოლცენტრი და ძმებ ვაშაძეებთან ერთად ძარცვავს თუ არა ევროპელ პენსიონერებს. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის **ნიკოლოზ სამხარაძის** განცხადებით, არახამიას ქართველ ხალხზე არასწორი წარმოდგენები აქვს. მისი მხრიდან არჩევნებზე საუბარი არის კანონის დარღვევა და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა უკრაინელი პოლიტიკოსის მხრიდან.

„ევროპულ მომავალს ქართველი ხალხი იმსახურებს და ეს არ ხდება ბიძინა ივანიშვილის გამო. პირველად ეს სიტყვები პუტინმა გამოიყენა, რომელმაც ხალხი და მთავრობა გაყო და ამ შემთხვევაში არახამია პუტინის ნარატივს იმეორებს. ხალხი და მთავრობა ყოველთვის ერთიანია. მთავრობას ირჩევს ხალხი და ბოლო ცხრა არჩევნებში ხალხმა ის ხელისუფლება აირჩია, რომელიც დღეს საქართველოს მართავს.

არახამიას განცხადებაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს „გირჩის“ ლიდერი, **იაგო ხვიჩია,** რომლის განცხადებით, დავით არახამია წარმოშობით ქართველია და აქვს უფლება, საქართველოში რაღაცას პოლიტიკურად გულშემატკივრობდეს. ხვიჩიას თქმით, ვერავინ ვერავის აუკრძალავს ხელისუფლების ცვლილებასთან მიმართებით ოპტიმისტური წარმოდგენები ჰქონდეს.

**„ნაკლებად მჯერა, რომ თუ ხელს არ გავანძრევთ, რამე მოხდება, მაგრამ ზოგადად, წარმოდგენა, რომ ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება, ოპტიმისტურია და ვერავის აუკრძალავ, ოპტიმისტური წარმოდგენები ჰქონდეს. ეს თავისით არ მოხდება, ამ ნაწილში მაქვს უფრო კითხვები. მინდა, მჯეროდეს, მაგრამ ეს არ მოხდება იმის გამო, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ციხეში და „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციაა. რამე სხვა უნდა მოხდეს ქვეყანაში და ეს სხვა ჩვენი გასაკეთებელია. სურვილი, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოს, მარტო არახამიას არ აქვს, ამ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება ბევრს უნდა“,** – განაცხადა **იაგო ხვიჩიამ.**

ანალიტიკოსის, „ხალხის ძალის“ წევრის, **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, არ იცის სითავხედის რა ზღვართან გვაქვს საქმე, რადგან, არახამია წარსდგა იმ ადამიანის პოზიციიდან, რომლის ქვეყანაში ყველაფერი წესრიგშია, არ მიმდინარეობს არანაირი ომი და ან, თუ მიმდინარეობს ძალიან წარმატებულად უკრაინის ხელისუფლებისათვის.

როგორც For.ge-სთან საუბრისას ქართველიშვილი აცხადებს, ორი წელია უკრაინის ესა თუ ის მაღალჩინოსანი, როგორც წესი, აუცილებლად იცლის საქართველოსთვის და იცლის დამრიგებლური ტონით საუბრისთვის.

**„არახამია წარსდგა როგორც ადამიანი, რომლის ხელშია თურმე ამერიკის, ევროპის, კანადის, ავსტრალიის პოზიციებიდან ამ თუ იმ სასანქციო სიაში ადამიანების შეყვანა, გამოყვანა, სანქციების დაწესება. გვაფრთხილებს ჩვენ, რომ ჭკუით ვიყოთ: „მიფრთხილდით, მე, ვარ ის ადამიანი, რომლის ხელში არის თქვენი დღევანდელობა“. ის ძალიან თამამად საუბრობს იმაზე, ვინ როდის შეცვლის ამ ხელისუფლებას, არჩევნების გზით, თუ არჩევნების გარეშე. გვპირდება არნახული საჩუქრის გაკეთებას იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ გვარამიას გამოვუშვებთ ციხიდან. თურმე გადააბიჯებს საკუთარ სიამაყეს, პირადად შეხვდება პრეზიდენტ ზელენსკის და გამოაშვებინებს საქართველოში ესოდენ ნანატრ უკრაინის ელჩს. მე ისეთ საქართველოში ცხოვრება არც ჩემთვის მინდა, არც ჩემი შთამომავლობისთვის, სადაც არახამიას შიშმა უნდა განაპირობოს ჩვენი აწმყო, თუ მომავალი“,** – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **დავით ქართველიშვილმა.**

ანალიტიკოს **გია აბაშიძის** განცხადებით, იმ პირობებში, როდესაც ხალხი და ხელისუფლება ერთად დგანან, საქართველოსთვის ნამდვილად არ არის საშიში ზელენსკის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მავნებლური განცხადებები, თუ ევროპარლამენტარების ნაცმესიჯბოქსის განმეორება. როგორც აბაშიძე აცხადებს, ასეთი თავდასხმები დიდი ხანია გრძელდება, რაც საყურადღებოა.

**„საშიში უფრო არის, კოლექტიური არახამიებისა და პოდოლიაკების მომავალი როგორი იქნება ომის დასრულების შემდეგ. იმიტომ, რომ უკრაინელ ხალხს აქვს ძალიან დიდი პრობლემა. ერთია – ოკუპანტი რუსეთი და მეორე – კორუმპირებული ჩინოსნები უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებაში. აი, ეს არის პრობლემა. მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ უკრაინის უმადურ ხელისუფალთ აქვთ იმის კადნიერება, რომ არა მხოლოდ საქართველოს შიდა საქმეებში ჩაერიონ თავხედურად, არამედ ერევიან ევროკავშირის სახელმწიფოების შიდა საქმეებშიც, რაზეც აქვთ საკადრისი პასუხი და ეს არაერთხელ გამოჩნდა დასავლურ მედიაში. საქართველოს ხელისუფლება იჭერს აბსოლუტურად სწორ პოზიციას იქიდან გამომდინარე, რომ უკრაინა არის სისხლისმღვრელ ომში და ახლა ვითარების გამწვავება, იმ დონეზე კინკლაობით როგორიც ზელენსკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ახასიათებთ, ნამდვილად დაუშვებელია“,** – აცხადებს **გია აბაშიძე.**

**თუ უკრაინას ჰყავს ავაზაკი ხელისუფლება და ამას ადასტურებენ კორუმპირებული ჩინოსნების ყოველდღიური დაჭერებით, ეს, რასაკვირველია, მათი პრობლემაა. მშვიდობიან პროცესში თავად უკრაინელი ხალხი გადაწყვეტს, რომ მოიშორონ ეს ფულისტი ავაზაკნი, რომლებიც არამხოლოდ გამოირჩევიან ტოქსიკური განცხადებებით, არამედ არახამია და სხვა პოლიტიკური სუბიექტები კიევში შემჩნეული არიან რუს ოლიგარქებთან ბინძურ გარიგებებში.**

**ამ ყველაფერს იმახსოვრებენ შესაბამისი სტრუქტურები, როგორც უკრაინაში, ასევე დასავლეთში. ყველას გაეცემა საკადრისი პასუხი, ოღონდ საჭირო დროს. დასავლელი სამართალდამცავები აუცილებლად გასცემენ საკადრის პასუხს უკრაინელ კრიმინალ ჩინოსნებს“,** – განაცხადა **გია აბაშიძემ.**

**თამთა ქარჩავა**



## შალვა პაპუაშვილი: ეს არის ფინანსური ძალადობა!

**ყალბი ორგანიზაციების და მაქინაციების მეშვეობით ხდება უცხოური ფულის ინვესტირება ქართულ პოლიტიკაში. ბოლო პერიოდში გამოაშკარავდა ასეთი სქემები „გირჩის“, „დროას“, „ევროპული საქართველოს“, სხვა პარტიების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, აუდიტის სამსახური დაინტერესდეს ამ საკითხით,** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** ჟურნალისტებს განუცხადა.

**„ზოგადი წესია, რომ უცხოურ ფულს არაფერი ესაქმება პოლიტიკაში. ჩვენ ვხედავთ, რომ სამწუხაროდ, ასეთი ყალბი ორგანიზაციების და რაღაც მაქინაციების მეშვეობით ხდება უცხოური ფულის ინვესტირება ქართულ პოლიტიკაში და მნიშვნელოვანია, ამას მიექცეს ყურადღება. ბოლო პერიოდში ვნახეთ, რომ გამოაშკარავდა ასეთი სქემები „გირჩის“ შემთხვევაში, „დროას“, სხვა პარტიების შემთხვევაში. „ევროპულ საქართველოსაც“ ჩამოყალიბებული აქვს ყალბი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელიც არა უბრალოდ აფილირებულია ამ პარტიებთან, პირდაპირ მათი დაფუძნებულია ლიდერების მიერ, იმართება მათ მიერ და ხდება პოლიტიკური ფულის გრანტად გაფორმება, რაც არის პარტიების უკანონო დაფინანსება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, აუდიტის სამსახური დაინტერესდეს ამ საკითხით და ზოგადად, ამ ორგანიზაციებმაც გაასაჯაროონ საკუთარი დაფინანსება, მათ შორის დონორებმა, რომლებიც აფინანსებენ ამ ორგანიზაციებს, თუნდაც IRI-მ, გაასაჯაროოს, რა მოცულობის თანხით აფინანსებს ამ ე.წ. ენჯეოს, რომელიც სინამდვილეში „გირჩის“ პარტიის გაგრძელებაა, რა თანხით, რა მიზნებისთვის აფინანსებს, რატომ ხდება IRI-ის მიერ გადახდილი ფულით ახალგაზრდების იარაღთან შეჩვევა და რევოლუციური სცენარების დანერგვა. სწორედ ამაზე იყო საუბარი მათ შორის, როდესაც ვსაუბრობდით უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე. მაშინ იცით, რომ სამწუხაროდ, არასწორად იქნა ეს ყველაფერი მიტანილი საზოგადოებამდე. სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ აქ შეიძლება სხვა ინტერესები იყო, რომ დაფარული ყოფილიყო ის დაფინანსებები, რომელიც საქართველოში შემოედინება“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## საქართველო თუ... სახინკლეთ-საღვინეთი?!




**საქართველომ მორიგი ანტირეკორდი დაამყარა. ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა საზღვარგარეთაა დასაქმებული, ხოლო ქვეყნის შიგნით მათი წილი მცირდება. ადგილზე მუშაობა ბევრ ადამიანს აღარ სურს. სწორედ ამაზე მეტყველებს ემიგრაციის მზარდი ნაკადი და აქ შექმნილი კადრების დეფიციტი.**

ეკონომისტ **სოსო არჩვაძის** ინფორმაციით, **საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, დაახლოებით, 860 000-ის ფარგლებშია, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სავარაუდოდ, 950 000 ადამიანი.**

**„საქართველო თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი იმ უიშვიათესი სახელმწიფოთაგანია, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაქირავებით დასაქმებული უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, დაახლოებით, 860 000-ის ფარგლებშია (ბოლო მონაცემებით), ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ ალბათ 950 000 ადამიანი.**

**სწორედ მათ ხარჯზე ქვეყნის შიგნით, გარკვეულწილად, იზრდება მოთხოვნილება, გადახდისუნარიანობა და ამას გარკვეული როლი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში. თუმცა, ეს ადამიანები, თავის ცოდნით და გამოცდილებით, საქართველოსთვის ადგილზე უფრო მეტის მომტანნი იქნებოდნენ“,** – განაცხადა სოსო არჩვაძემ.

რამდენიმე დღის წინ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, **თითქმის ყოველ მეექვსე მოქალაქეს ჰყავს უცხოეთში მცხოვრები ოჯახის წევრი, რომელიც მას რეგულარულად უგზავნის ფულს. ასევე, ყოველი მეექვსე მოქალაქე ემიგრაციაში წასვლაზე ფიქრობს. იმ ადამიანთა მაჩვენებელი, რომლებიც მომდევნო 12 თვის განმავლობაში საზღვარგარეთ სამუშაოს საძიებლად წასვლას მოსალოდნელად მიიჩნევდნენ, 2019 წელს 76% იყო, 2023 წელს კი 82%-ია.**

ვითარების სირთულეს ბიზნესიც ადასტურებს. კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მფლობელის და გენერალური დირექტორის **პაატა ტრაპაიძის** აზრით, ბიზნესის და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ქვეყნიდან ადამიანური რესურსის გადინებაა.

**„ბიზნესს ქმნიან ადამიანები. ფული და მანქანები ბიზნესს არ აკეთებენ. ეს უნდა ვთქვათ ხმამაღლა და გავაგებინოთ ყველას – ჩვენ ვკარგავთ ყველაზე აქტიურ ადამიანებს.**

**იმედი უნდა ჩავუსახოთ ადამიანებს, რომ 4-5 წელიწადში აქ ყველაფერი კარგად იქნება... შარშან 100 000 ქართველი დავკარგეთ – მათ საქართველო დატოვეს. აქედან 84% შრომისუნარიანი იყო. ამის მიზეზი არაა მხოლოდ სოციალური ყოფა... ამ საკითხით ფსიქოლოგებიც უნდა დაინტერესდნენ. მე ვურჩევდი დღევანდელ მთავრობას, რომ ისევ აღადგინოს დასაქმების სამინისტრო, რომელმაც უნდა შეისწავლოს, რატომ გარბის ეს ხალხი საქართველოდან, როგორ შეიძლება დავაკავოთ, რა პროფესიები უნდა განვავითაროთ, თორემ რა დავრჩებით? ხინკლის და ღვინის ქვეყანა! მე არ მინდა ასეთი ქვეყანა!**

**ვინც იქნება პრემიერ-მინისტრი, მისი ყველაზე დიდი ფუნქცია და პრეროგატივაა, რომ შექმნას ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ხალხს კი არ გააქცევს, არამედ იმედს შეუქმნის, რომ 10 წლის შემდეგ საკმაოდ კარგი შემოსავალი ექნებათ“,** – თქვა პაატა ტრაპაიძემ.

**ბექა დანელია**

**80 წელი შეუსრულდა დავით გაბუნიას, პიროვნებას, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.**




# ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის დამფუძნებელი

1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, დავით გაბუნია წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ფიზიკო-ტექნიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. თავისი მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე მან საკუთარი სამეცნიერო ინტერესები დაუკავშირა ნეიროკიბერნეტიკას, კერძოდ ნეიროქსელებში მიმდინარე პროცესების მოდელირებას.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, 1977 წლიდან დავით გაბუნია საქმიანობს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და კოორდინაციას უწევს ფიზიკო-ტექნიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ სახელმწიფო სამეცნიერო პროგრამებს (მიკროელექტრონიკა, სტაბილური იზოტოპები და სხვ.).

1991 წელს ის ინიშნება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის მოადგილედ და უძღვება საბუნებისმეტყველო და სოფლის მეურნეობის სფეროებთან დაკავშირებულ მიმართულებებს.

ამ პერიოდში საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა როგორც ქვეყანაში უკვე არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების ახალი რეალობების გათვალისწინებით გადაწყობა, ისე მანამდე არარსებული სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა და ამოქმედება. მათ შორის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად განისაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რომლის უშუალო ხელმძღვანელობა და განხორციელება დაევალა დავით გაბუნიას.

მისი მონაწილეობით მოკლე დროში მომზადდა და უკვე 1992 წელს მიღებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მარეგულირებელი პირველი საკანონმდელო აქტები. უცხოეთის ქვეყნებში სწავლება გაიარეს ახლად შექმნილი „საქპატენტის“ წამყვანმა თანამშრომლებმა, რის შედეგად ძალიან სწრაფად ჩამოყალიბდა საპატენტო ექსპერტების კვალიფიციური და კარგად დაბალანსებული გუნდი. 1994 წელს საქართველო მიუერთდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედ ყველა ფუნდამენტურ საერთაშორისო კონვენციასა და ხელშეკრულებას. 1996 წელს ექსპლოატაციაში შევიდა საქპატენტის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სპეციალიზებული შენობა, რომლის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობისათვის საქართველოს სპეციალური ვიზიტით ეწვია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არპად ბოგში, ამ სფეროს აღიარებული ლიდერი მსოფლიოში. საქართველო იყო პირველი ქვეყანა, პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ამოქმედდა დამოუკიდებელი, თავისუფალ სამყაროში დამკვიდრებულ პრინციპებზე დაფუძნებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემა.

თავისი ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე საქპატენტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სწორედ ამ მიმართულებით ფართო აქტივობების განხორციელება იქნა მიჩნეული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დავით გაბუნიას ხელმძღვანელობით საქპატენტი მოკლე დროში იქცა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საგანმანათლებლო ცენტრად. მისმა საქმიანობამ მოიცვა, როგორც საგამომცემლო აქტივობები (ორიგინალური და ნათარგმნი წიგნების, ბროშურების, სხვადასხვა დამხმარე მასალების გამოცემა), ისე სასწავლო საქმიანობა-ლექციები, ტრეინინგები, სემინარები, სიმპოზიუმები და სხვ. დავით გაბუნიას ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ქართულ ენაზე ითარგმნა ისმოს მსოფლიოში ფართოდ ცნობილი სახელმძღვანელო“ „ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლები“. ამ წიგნის გამოცემამ და ფართოდ გავრცელებამ დიდი ბიძგი მისცა ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კულტურის დამკვიდრებას და განვითარებას. იგი იქცა სამაგიდო წიგნად როგორც ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტებისათვის, ისე ამ დარგით დაინტერესებული სხვა პირების, მათ შორის სტუდენტებისათვის.

პირველად ქართულ ენაზე ითარგმნა და საქპატენტის მიერ გამოიცა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (გამოგონებები, სასაქონლო ნიშნები, დიზაინი) ოთხი სქელტანიანი კლასიფიკატორი. ეს კლასიფიკატორები წარმოადგენს საპატენტო ძიებისა და ექსპერტიზის კვალიფიციურად ჩატარებისთვის აუცილებელ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კლასიფიკატორებზე მუშაობაში საქპატენტის წამყვან სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი. ასეთი სახის კოოპერაციამ ბევრად განსაზღვრა ქართულ ენაზე გამოცემული კლასიფიკატორების მაღალი აკადემიური დონე. კლასიფიკატორებზე მუშაობისას მაღალპროფესიონალურად განიმარტა ან დაზუსტდა ათი ათასობით ტერმინი მნიშვნელოვანი როგორც სამეცნიერო-ტექნოლოგიური ისე ბიზნესის სფეროებისათვის. 2000 წლიდან დავით გაბუნიას ხელმძღვანელობით და რედაქტორობით დაიწყო პირველი ქართულენოვანი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ინტელექტუალური საკუთრება“ გამოცემა, რომელშიც პერმანენტულად შუქდებოდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრობლემატიკასთან დაკავშირებული განსაკუთრებით აქტუალური საკითხები.

მთელი ეს წლები დავით გაბუნია ასევე აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების, უპირველეს ყოვლისა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) მუშაობაში. ის არაერთხელ იყო არჩეული ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისმოს სხვადასხვა მმართველობით ორგანოებში. დავით გაბუნიას, როგორც ხელმძღვანელის და მაღალპროფესიონალი სპეციალისტის მოღვაწეობა არაერთხელ აღნიშნულა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მას ხშირად იწვევდნენ როგორც ექსპერტს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ღონისძიებებში, მას ასევე უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული ათობით ინტელექტუალურ საკუთრების დაცვის და ინოვაციურ პრობლემებთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროექტებში.

საქპატენტის ათი წლისთავთან დაკავშირებით გამოგზავნილ მისალმებაში ისმოს გენერალური დირექტორი კამილ იდრისი წერდა: **„გენერალური დირექტორის დავით გაბუნიაა დაუღალავი ძალისხმევის, შორსმჭვრეტელობისა და ხელმძღვანელობის წყალობით „საქპატენტმა“ სახელი გაითქვა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობაში“.**

ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით გაბუნიას განსაკუთრებული როლი და უდიდესი ღვაწლი ქვეყანაში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მისი უშუალო ინიციატივით მომზადდა და მიღებულ იქნა სპეციალიზებული კანონი გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის თაობაზე. ეს კანონი დაფუძნებულია ფრანგულ-იტალიურ მოდელზე და ითვალისწინებს ცნობილი პროდუქტების ბრენდირებას, რომელთა მაღალი ხარისხი განპირობებულია მათი წარმოშობის ადგილას არსებული ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით შესაბამისი გეოგრაფიული სახელით. ეს სისტემა, რომელიც მიჩნეულია მაღალხარისხიანი პროდუქტების წარმოებისა და რეგიონალური განვითარების მძლავრ ინსტრუმენტად, განსაკუთრებით ღირებულია ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და გასტრონომიული ტრადიციებით გამორჩეული ქვეყნებისათვის, რომელთა რიგებს მიეკუთვნება საქართველოც. დღეისათვის დაცულია 60-ზე მეტი ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტი (ღვინო, მინერალური წყალი, ყველი, ხილი და სხვ.), რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კონკურენტუნარიანობით და შეადგენენ ჩვენი ექსპორტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

ამჟამად დავით გაბუნია ხელმძღვანელობს „ორიჯინ-საქართველოს“, რომელიც წარმოადგენს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საერთაშორისო ალიანს „ორიჯინს“ საქართველოში. 2018 წელს დავით გაბუნია არჩეულ იქნა „ორიჯინის“ ვიცე-პრეზიდენტად.

საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვაში მიღწეულმა წარმატებებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველო ისმოს მიერ აღიარებულია გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში სწავლების რეგიონულ ცენტრად. უკვე რამოდენიმე წელია, რაც თბილისში პროფესიულ სწავლებას გადიან გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სფეროში დასაქმებული სპეციალისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

დავით გაბუნია წლების განმავლობაში წარმატებით ეწევა სამეცნიერო- პედაგოგიურ საქმიანობას. იგი ლექციებს კითხულობს როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის. არის 50 -ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, რომლებიც დაბეჭდილია როგორც ქართულ ისე უცხოურ გამოცემებში. დავით გაბუნია არის სამი მონოგრაფიის ავტორი – ესენია: „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ „პირველი და მეორე ტომი) და „გეოგრაფიული აღნიშვნები – ხარისხი და განვითარება“.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციამ (ისმო) მისი საქმიანობა აღნიშნა სპეციალური ჯილდოთი – ოქროს მედლით. ის არის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი

**ვულოცავთ საიუბილეო თარიღს ამ გამორჩეულ მამულიშვილსა და პროფესიონალს!**

**მხნედ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო!.**

**თამაზ შილაკაძე,**
აკადემიკოსი, საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების თავმჯდომარე,

**რამაზ ქაცარავა,**
აკადემიკოსი,

**თემურ მაისურაძე,**
პროფესორი,

**ნუგზარ ფოფხაძე.**

# აზიელები ისევ ჩვენი ღვინით ინტერესდებიან



**ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media“ ხელმძღვანელის, ღვინის მაგისტრ დებრა მეიბურგის ორგანიზებით, საქართველოს ჩინეთიდან და სინგაპურიდან ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ.**

ტურის ფარგლებში, 14 კაციანი ჯგუფის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში სომელიეები და იმპორტიორები შედიოდნენ, ქართლსა და კახეთში ღვინის საწარმოები დაათვალიერეს. სტუმრები იმყოფებოდნენ თბილისში გამართულ ბუნებრივი ღვინოების ყოველწლიურ ფესტივალზეც „ZERO COMPROMISE“, სადაც შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 100-მდე მწარმოებლის პროდუქციას.

ღვინის მაგისტრის, დებრა მეიბურგის შეფასებით, ქართულ ღვინოს აზიის ბაზარზე დიდი პერსპექტივა აქვს. **„როდესაც ვსაუბრობთ აზიაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ქართული ღვინის სხვადასხვა ბაზარი – შანხაი, პეკინი, ჩენგდუ, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური, კორეა და იაპონია. ამ ბაზრებიდან, თითოეულს აქვს განსხვავებული გემოვნება, განსხვავებული განვითარების დონე და ქართული ღვინის შესახებ განსხვავებული ცოდნა, რაც ვფიქრობ, რომ ძალიან კარგია მწარმოებლებისთვის, რადგან ამ ბაზრებზე ყველასთვის არის ადგილი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ქართულ ღვინოებზე მუშაობისას, შესამჩნევია ხარისხის საოცარი ზრდა, საერთაშორისო გემოს და სტილის გაცნობიერება, ასევე, ეტიკეტების, წარდგენის სიზუსტე“**, – აღნიშნა დებრა მეიბურგმა.

# პერფექციონისტის შთანახატები




## „მეფე ჩარლზ III“-ისა, „ალუდა ქეთელაურისა“ და „წერილისა“

**დიდი ხანია, წიგნებს ისეთი ინტენსიურობით აღარ ვყიდულობ, როგორც თუნდაც ათი წლის წინათ, მაგრამ მაინც გამექცევა ხოლმე თვალი ახალი წიგნების სარეკლამო ანონსებისა თუ ბუკინისტთა ფეისბუქ გვერდებისკენ.**

ჰოდა, იმ დღესაც, ინგლისის ახალი მონარქის კორონაციის წინა დღეს, თითქოს საგანგებოდ, ან იქნებ საგანგებოდაც, ფეისბუქზე ჩარლზის ახალგაზრდობის ფოტოს მოვკარი თვალი. ანტონი ჰოლდენის წიგნს გვთავაზობდნენ: „მეფე ჩარლზ III“. მოვიძიე და ეს იყო ახალი, რამდენადმე შევსებული ვერსია ამავე ავტორის წლების წინ გამოცემული წიგნისა „პრინცი ჩარლზი“. ამის მიუხედავად, მაშინვე მივაწერე კომენტარებში: „ვიყიდი“.

ცოტა ხნის შემდეგ პირადში მომწერა და ტელეფონის ნომერიც რომ მივეცი, კიდევაც დამირეკა სათნო ქალბატონმა, სად მოგართვათ წიგნიო.

ჩვეულებრივ, ასეთ დროს იქით იბარებენ ხოლმე მყიდველს და ცოტა არ იყოს გამიკვირდა. მეორე დღეს გაირკვა ყველაფერი, როცა ჩემი ქალიშვილი მოგიტანთ წიგნსო, მითხრა და, სხვათა შორის, იკითხა, „წერილი“ თქვენი დაწერილიაო?!

ჩემი პოემა „წერილი“, რომელიც პირველად 1974 წელს გამოქვეყნდა უნივერსიტეტის სტუდენტურ ჟურნალ „ახალგაზრდა ჟურნალისტში“, დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუ წლების წინ მას თავიანთ ბლოკნოტებში იწერდნენ მაშინ პატარა გოგონები და დღეს უკვე ბებიები, ახლა მათი შვილიშვილები იზეპირებენ. ის კი არა, ერთმა ისე შეითვისა იგი, რომ საკუთარი ეგონა და თავისი სახელით გამოაქვეყნა პირველი პუბლიკაციის მთელი სამი ათეული წლის მერე. არ ვიცი, მართლა თავისი ეგონა თუ მკვდარი ვეგონე, ვაჟა-ფშაველასავით. მაგრამ ფაქტია, რომ კარგა ხანი სასამართლო პროცესი მქონდა მასთან და მის რედაქტორთან – საკუთარი პოემის ავტორობას ვამტკიცებდი. ვინ იცის, ამ წლების განმავლობაში რამდენჯერ უკითხავთ, შენ ხან ის პაატა ნაცვლიშვილი, „წერილი“ რომ დაწერაო? როგორც ჩანს, ჩემი ან გარეგნობისა თუ რაიმე სხვა თვისების გამო ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათი საყვარელი პოემა ჩემი დაწერილია!

ჰოდა, ახლაც „მეფე ჩარლზ III“-ის კეთილმა პატრონმა იგივე იკითხა. დიახ-მეთქი, დავუდასტურე. მე მისგან არ ამიღია ამის უფლება და ამიტომ აქ მის გვარს ვერ ვასახელებ.

მეორე დღეს მის ქალიშვილს შევხვდი. აქა და აქ ვდგავარ გაჩერებაზე, ლურჯი კეპი მახურავს-მეთქი. ისედაც გიცნობთო მითხრა და როცა შევხვდით, სანამ ლამაზ პარკში ჩადებულ წიგნს გადმომცემდა, ისეთი რამ მითხრა, მეუხერხულება კიდეც აქ რომ დავწერო:

– ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ პაატა ნაცვლიშვილს ლაივში ვნახავდი! – ჩემი გაკვირვებული სახე რომ დაინახა, დაამატა, – თქვენს „წერილზე“ გავიზარდეთო!

არც მისგან მიმიღია ნებართვა და ვერც მის სახელს დავასახელებ. თუ ამ ჩემს შთანაწერს ნახავენ ის და დედამისი, თავად შეუძლიათ გამოეხმაურონ.

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამას მეუბნებით-მეთქი, – წიგნის გასამრჯელო გავუწოდე და შინ უფრო ბედნიერი დავბრუნდი, ვიდრე სხვა შემთხვევაში, რაც არ უნდა კარგი წიგნი მეყიდა.

გავხსენი პარკი და ორი წიგნი იდო! ერთი, რომელიც ვიყიდე და მეორე – ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ – ქართულ-ებრაული გამოცემა. არც ვიცოდი, თუ ეს გამოცემა არსებობდა. მივხვდი, ჩემი „წერილის“ ბონუსი იყო. მშვენიერი გამოცემაა, ოღონდ ვერ გაიგებ, ვისი თარგმანია.

მერე ის „მეფე ჩარლზ III“ გადავშალე, რომ მენახა, რა და როგორ დაამატა ავტორმა ჯერ კიდევ მეფის კორონაციამდე და აქაც – კიდევ ერთი სიურპრიზი მელოდა:

წიგნის ფორზაცში პატარა ბარათი იდო ასეთი წარწერით:

„მოგესალმებით, ბატონო პაატა! ძლიერ უხერხულად ვგრძნობ თავს, წიგნის მოყიდვის გამო. მაპატიეთ. პატივისცემით...“

ჩემი დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონებო.

ზოგი წიგნი, რაც არ უნდა ძვირი ღირდეს, ნაჩუქარზე უკეთესია.

იშვიათია, ასე ზუსტად წიგნმა რომ მოგისწროს: წინა დღეს სწორედ ჩარლ III-ის კორონაციას ვუყურებდი ბიბისიზე.



## სამეფო კარის ფოტოგრაფებისა



**საიდან აღარ უდგებიან დღევანდელი ფოტოგრაფები ამა თუ იმ მოვლენას.**

ჩარლზ III-ის კორონაციის ბოლოს მეფე და მისი რჩეული დედოფალი, როგორც წესი და რიგია, ბუკინგემის სასახლის აივანზე გამოჩნდნენ. დაღლილობის მიუხედავად, გვესალმებიან, ხელებს გვიქნევენ და მათი გვირგვინები ცასა სწვდება, სადაც დიდი ბრიტანეთის თვითმფრინავები ლურჯ-წითელ-თეთრ ზოლებს ტოვებენ.

და უცებ: მეფესა და დედოფალს შორის ფოტოკამერა აღიმართა. თვითმფრინავებით სავსე ცის დონეზე არა, მაგრამ მათ გვირგვინებზე მაღლა!

გადავიღე ტელეეკრანიდან ეს ფოტო და ფეისბუქზე ერთადერთი წარწერა ვახლე:

ფოტოგრაფი თუ ხარ, ასეთი უნდა იყო!

კომენტარებში რამდენიმე ისეთი ფოტო მომიმარჯვეს, რომელიც ამგვარი თავხედი ფოტოგრაფის გადაღებული უნდა ყოფილიყო. არადა, ერთი და ორი როდი იყო ასეთი. სულ ცოტა, ორი ფოტოგრაფი დავთვალე.

მეფე-დედოფლის უკანა მხარეც ძალიან-ძალიან საინტერესოა. მით უმეტეს თუ ერთიცა და მეორეც მრავალი წელია სხვადასხვა მხრიდან გვაცნობენ თავს.

## ჰოდა, ყველაფერი მოსულასი!

**ჰოდა, გადავიღე დიდი ბრიტანეთის ჯარისკაცთა ეს სურათი ჩარლზ III-ის კორონაციიდან და ძალიან მომინდა, მენახა ამ ფოტოს შემხედვარე მაჰატმა განდის სახე!**

ჰოდა, ისევე როგორც ძალიან საინტერესოა, გვენახა მისი სახე, როცა ინგლისის პრემიერ-მინისტრი, ინგლისში დაბადებული, მაგრამ ინდუსი რიში სუნაკი, როგორ კითხულობს კენტერბერის სააბატოში ბიბლიის სიბრძნეს, თითქოს ცხოვრებაში ამის მეტი არაფერი უკეთებია. არადა, როგორც პრემიერ-მინისტრმა, წარმომადგენელთა პალატაში ფიცი ბჰაგავატგიტაზე დადო.

ჰოდა, იმის სურვილიც ჩნდება – გაიგო, რა ემოცია დაეხატებოდა ჩერჩილს სახეზე თავისი ამ მემკვიდრის შემხედვარე. სხვათა შორის, ჩერჩილს თავის ქართულ წერილებში ინგლისელი ქართველოლოგი კეტრინ ვივიანი „ჭურჭილს“ეძახის.

ჰოდა, ჭურჭელში რაცა დგას, იგივე გარდმოდინდებისო, თუმცა აბონ ციციაშვილისა არ იყოს, ეს ქართული ანდაზა აქ არაფერ შუაშია!

ჰოდა, სამაგიეროდ ძალიანაც შუაშია ჩარლზ III-ის ბაბუის ძმის ედუარდ VIII-ის ამბავი, რომელმაც განათხოვარი ქალი ამჯობინა დიდი ბრიტანეთის მაშინ მართლა დიდი იმპერიის გვირგვინს და ტახტიდან გადადგა.



ჰოდა, ერთი მისი სახე გვანახა, დედოფალ კამილას რომ მიულოცავს და ეტყვის, ქალიც შენა ყოფილხარ და ლეჩაქიც შენა გხურებიაო!

ჰოდა, ეს სახე კი თავად ვნახეთ – როგორ ეფიცება ერთგულებას ტახტის მემკვიდრე უილიამი უკვე კურთხეულ მამამისს, ისე რომ, თვალებში არ უყურებს.

ჰოდა, ეს ყველაფერი ხუნდება, როცა კენტერბერის მთავარეპისკოპოსი ჯასტინ უელბი ამ ყველაფერს თავისი ხელდასხმით დაამშვენებს და თავის სეფე-სიტყვას ღმერთის სიყვარულის ტრანსფორმაციით დაავგვირგვინებს.

ჰოდა, როგორ აქ მოგინდება აქ დოსტოევსკის სახის დანახვა, როცა თავის იმ ცნობილ აფორიზმს წერდა: ᲗᲣᲙᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲐ!

**პაატა ნაცვლიშვილი**

◎ ინფორმაცია ბუკინგემის სასახლიდან



## კორონაციის ოფიციალური პორტრეტი

**ბუკინგემის სასახლემ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მეფის, ჩარლზ მესამის კორონაციის პირველი ოფიციალური პორტრეტი გამოაქვეყნა.**

**ფოტოს ავტორი ჰიუგო ბორნანია. პორტრეტზე ჩარლზი სამეფო მანტიითა და გვირგვიანით არის გამოსახული და სავარძელში ზის. სასახლემ ასევე დედოფალი კამილას პორტრეტი და სამეფო წყვილის ერთობლივი ფოტო გამოაქვეყნა.**

# იუბილარი გაზეთი საფრთხეშია!

## ანუ „როდემდე კატილინა?!..“

ისტორიულ ცხინვალის რეგიონში ოდითგანვე ზეობდა სიტყვა ქართული. როგორც ცნობილია, კლასიკოსმა მწერალმა, მიხეილ ჯავახიშვილმა არ იცოდა ქართული ენა. შემთხვევით არ იყო, რომ მას წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის პედაგოგმა დავითაშვილმა ურჩია: **„თუ გინდა მშვენიერი ქართული ისწავლო, წადი თამარაშენში ან ქურთაში, იქ ყველაზე საუცხოოდ ლაპარაკობენ, გლეხებიც კი ლიტერატურულ ენას დაუფლებიან. სხვა არა იყოს რა, ვანო მაჩაბელი იქაა დაბადებული. შექსპირი მიუწვდომლად აქვს ნათარგმნი.“**

ადრიდანვე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟიდან, სამაჩაბლოში მიზანმიმართულად ისწრაფოდნენ ქართული, ბეჭდვური მედიის ასამოქმედებლად. ცხინვალელი მოწინავე ინტელიგენციის ერთობლივი მონდომებითა და შემართებით, 1933 წლის 8 ივნისს დღის სინათლე იხილა ქართულენოვანმა გაზეთმა. მიუხედავად იმისა, რომ „საბჭოთა ოსეთი“ კომპარტიის რუპორი იყო, ქართული პრესა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების წარმოსაჩენად.



თამაზ ბესტაევი

რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, შემდგომ კი ქსნის ხეობებში კარგახანია ჩანავლდა ქართული სალიტერატურო ენის აღორძინება თუ სტუმარ-მასპინძლური ურთიერთობა.

ცხინვალის რეგიონიდან დევნილობისას, გორში სამზეოზე გამოსვლას იწყებს (1991 წ.) გაზეთი „შიდა ქართლი.“ ნაცრეჟიმის ზეობის წლებში, შეფერხდა დევნილი პრესის გამოცემა. პროფესიონალი ჟურნალისტების დიდი ძალისხმევით, 2021 წლის ივლისში ამოქმედდა გაზეთი „შიდა ქართლი“ მისი პერიოდული დამატების „ცხინვალის მაცნეს“ სახელწოდებით.

დღეს, როგორც არასდროს, თავისუფლების ეკალ-ბარდიან გზაზე დამდგარ ივერიელთა სამკვიდროს ბობოქარი მოვლენების კვალდაკვალ, ფინანსურად უჭირს დევნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთს, – ცხინვალში გამომავალი ერთადერთი ქართულენოვანი საოლქო გაზეთის სამართალმემკვიდრე „ცხინვალის მაცნე“ საფრთხეშია!

მწირი შემოწირულობებით მოქმედი ცხინვალური ბეჭდვური მედიის შეუფერხებლად გამოცემის მხარდაჭერა ყველას ვალია, – ვისთვისაც ძვირფასია ცხინვალის რეგიონი, რომლისთვისაც საწუხარია „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლი!..“ იუბილარი გაზეთის დაფინანსება, თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის (?!) უშუალო კომპეტენციაშიც შედის, რადგანაც **ცხინვალიდან დევნილებს დღემდე არავითარი ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა არ გააჩნია. უფრო მეტიც, ავადსახსენებელი ნაცრეჟიმის ზეობისას, შუაგულ დედაქალაქში დროებითი ადმინისტრაციის შექმნას (2007 წ.), ცენტრალური ბიუჯეტიდან „შიდა ქართლის“ დაფინანსებაც შეეწირა.**

საუკუნეს მიღწეული (90 წლის), ოკუპირებული რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ საიუბილეო დღეებში, არავითარი სურვილი არ გვაქვს, სულ რამდენიმე თვის წინ, დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნულ თამაზ ბესტაევთან პოლემიკის! კერძოდ, დევნილი პრესის ფინანსური მხარდაჭერის გამო, მაგრამ მისგან მიღებული (ამჯერად მეორედ, 27.02.2023 წ. №118/01) ირონიული, უფრო სწორად, უკმეხი შეტყობინება, - „თქვენი 2023 წლის 16 თებერვლის №485 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის პოზიცია გეცნობათ 2022 წლის 15 დეკემბრის №1173/01 წერილით,“ – რბილად რომ ვთქვათ, კიდევ ერთი მიუტევებელი სირცხვილია! ამასთან, **თუ ძველ რომაელ პოლიტიკოსს, ფილოსოფოსსა და ბრწყინვალე ორატორს, მარკ ტულიუს ციცერონს დავესესხებით, - მართლაცდა „როდემდე, კატილინა, აპირებ ბოროტად გამოიყენო ჩვენი მოთმინება?!“**

„მოთმინებითა შენითა...“ – ქრისტიანული მცნებიდან გამომდინარე, მოთმინებასაც აქვს საზღვარი. აღნიშნული პასკვილი, თავისუფლების გოლგოთას შემდგარ საქართველოში ბუდემოშლილ კალმოსანთა კიდევ ერთხელ აბუჩად აგდებაა!..

დროებითი ადმისტრაციის თავკაცს, აქვე შევახსენებთ ქართულ კინოფილმ „მონანიებიდან“ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ვერიკო ანჯაფარიძის გახმაურებულ ფრაზას:

**– „ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან არ მიმიყვანს?**

**– ეს ვარლამის ქუჩაა, ეს გზა ტაძართან არ მიგიყვანს!**

**– არა? მაშ რა საჭიროა იგი, რის მაქნისია გზა, თუკი ტაძართან არ მიმიყვანს!“**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, შუაგულ დედაქალაქში რა საჭიროა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია, თუ მისი ხელმძღვანელობა ავბედობით ისედაც გაწამებულ ცხინვალელ დევნილებს სათანადოდ მხარში არ ამოუდგება, ამ ვითარებაში არ გაითვალისწინებს მათ საწადელს. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ ადგილობრივ, ჭეშმარიტ საინფორმაციო საშუალებათა (განსაკუთრებით, ბეჭდვური მედიის) ვაკუუმში მყოფ ფართო მკითხველთა სამართლიან მოთხოვნებზე.**

როგორც ცნობილია, დროებითი ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის ინიციატივით (ამის შესახებ, ერთ-ერთ შეხვედრაზე, ადმინისტრაციის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა, ომარ ხუბაევმა განაცხადა), ჯერ კიდევ ცხინვალიდან დევნილობამდე პოპულარულ, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ორგზის ლაურეატს, სახალხო ვოკალურ ანსამბლ „ლიახვს“ სახელწოდება „ნართებით“ შეეცვალა (?!).



რედაქციის შენობა ცხინვალში

ადმინისტრაციის საოცნებო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ვოკალური ანსამბლი „ნართები“ და, საერთოდ, „თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია თუ როგორი იმიჯით სარგებლობს საზოგადოებაში, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ დევნილთა (განსაკუთრებით 90-იანი წლების) უმრავლესობას ადმინისტრაციის შენობისკენ გახედვაც არ უნდა!.. ამასთან, საგულისხმოა, თბილისში საახალწლოდ ჩატარებული ოსური ცეკვის მასტერკლასის გამო, ოკუპირებულ ცხინვალის დე ფაქტო პარლამენტის „ეროვნული პოლიტიკის, კულტურისა და რელიგიის“ კომიტეტის სხდომაზე ატეხილი აჟიოტაჟი: „მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი სახელმწიფო ანსამბლ „ალანის“ მოცეკვავეების ვიზიტზე საქართველოში. კერძოდ, ტერორისტულ ორგანიზაცია ე,წ. სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში ვიზიტთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ერთ დროს აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები სახელმწიფო ხელისუფლების ხელყოფის, მიტაცების, ტერორიზმისა და სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით. ეს სისხლის სამართლის საქმეები რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის წარმოებაშია..“ – განაცხადა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარემ, ამირან დიაკონოვმა.

**„სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის 2023 წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს მსგავსი ხარჯების გაწევას...“**

**რატომ, ვისი დაჟინებული კაპრიზებითა და რისთვის?..**

**რაა, ბნელა?!**

**ცხრაათეულ წელს მიღწეული „ცხინვალის მაცნე“ როდემდე – „გერის“ როლში?..**

ბატონო დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელო!

ცხინვალიდან დევნილი ინტელიგენციის (და არა მარტო) სახელით, კიდევ ერთხელ მოგმართავთ და მოგიწოდებთ, – **არ უნდა შეჩერდეს საუკუნეს მიღწეული, მაჩაბლისეული წმინდა ქართულით მირონცხებული, ლიახვისპირული პრესა, რამეთუ სულ სხვა მისია (ცხინვალელთა ჟამიანობის ამსახველი ისტორია) აკისრია. იგი ხომ ჩვენი მონატრებული მკითხველის წინაშე მშვიდობის, სიკეთისა და სიმართლის მაცნედ გვევლინება!**

ერთმანეთის მხარდამხარ გადავარჩინოთ იუბილარი „ცხინვალის მაცნე,“ – გადავარჩინოთ ქართული სიტყვა ჟამთა სიავით ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში!!!

**რობერტ ოდიკაძე,**

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**

# „ორსულმა კატამ ასვლა განახორციელა“! ▸ როგორ არ უნდა ვილაპარაკოთ ქართულად

**„მოხდეს განხორციელება“, „მოხდეს განვითარება“, „მივირთმევ“... ენა მუდმივად იცვლება და ხშირად უარესობისკენ. ქართულ ენაში დამკვიდრებულ კალკებსა და არასწორ ფორმებზე რადიო თავისუფლებას ფილოლოგი თამარ ლონდარიძე ესაუბრა.**

### ქართული ენის უნიკალური ზმნა

უცხო ენის გავლენა უმეტესად ბარბარიზმებით არის თვალსაჩინო, მაგრამ თუ ბარბარიზმები ენაში გავლენის შესუსტებისთანავე იკლებს, უცხოენოვანი სიტყვათშეთანხმებები გაცილებით დიდხანს რჩება. ამის გამო ლაპარაკისას თუ წერისას ბევრი საჭიროზე მეტ სიტყვას იყენებს:

- რა მოლოდინები გაქვთ – **რას ელით**
- საუბარი ჰქონდა – **ესაუბრა**
- მოლოდინის რეჟიმში ვართ – **ველოდებით**
- ყოველდღიურ რეჟიმში ვახორციელებთ მუშაობას – **ყოველდღე ვმუშაობთ**
- გავაკეთე გადამისამართება – **გადავამისამართე**
- რა საშინელებას გადიოდნენ ადამიანები – როგორ იტანჯებოდნენ/**როგორ განიცდიდნენ**
- მოქმედებაში მოიყვანა – **აამოქმედა**
- არის ლაპარაკი რომ – ლაპარაკობენ/**ამბობენ**/**აპირებენ**
- ასვლა განახორციელეს – **ავიდნენ**
- შემოვდივარ წინადადებით – **გთავაზობთ**
- საუბარი მაქვს ამაზე – **ვგულისხმობ ამას**
- ჩახლართული გახდა – **ჩაიხლართა**
- შფოთვაში ვართ – **ვშფოთავთ...**

### რუსულის დატოვებული კალკები

რუსულმა ქართულ ენაში ძალიან ბევრი კალკი ჩატოვა, მაგალითად: „მით უმეტეს“, „საიდან მოიტანე“, „ვთვლი, რომ“, „მანამდე სანამ“, „ამით დაწყებული, იმით დამთავრებული“, **„როგორც წესი“, „შესაბამისად“, „მიუხედავად ამისა“...**

შესაძლოა ეს სიტყვები სხვებით ჩანაცვლდეს, მაგრამ ზოგჯერ კალკს პირდაპირი ქართული შესატყვისი არ გააჩნია. თუმცა, სათქმელი ყოველთვის შეიძლება თქვა სხვა სიტყვებით, მაგალითად: „საიდან მოიტანე“ ადვილად ჩანაცვლდება წინადადებით: „რატომ ფიქრობ ასე?“

### ნაცვალსახელების შემოსევა

ინგლისურს არ აქვს ისეთი მოქნილი ზმნა, როგორიც ქართულს, ამიტომ ინგლისურის გავლენით ბევრი წინადადების აგებისას იყენებს ნაცვალსახელებს, რომელიც ქართულს არ სჭირდება, მაგალითად, არ არის საჭირო თქვა: „მე შენ დაგიწერე“, მხოლოდ „დაგიწერეც“ იმავეს ნიშნავს.

### „ში“ თანდებული

„გეგმაში მაქვს“, „მოლოდინში ვარ“, „შფოთვაში ვარ“, „რეჟიმში ვარ“... რაღაცაში ყოფნა უცხო ენის გავლენაა. ქართულში „ში“ თანდებული ამ კუთხით არ გამოიყენება. ამის ნაცვლად შეგვიძლია ვთქვათ: „ვგეგმავ“, „ველი“, „ვშფოთავ“ და ასე შემდეგ.

### „ბატონი ალექსანდრე აქ არ არის“

ერთი შეხედვით სრულიად გამართული წინადადებაა, მაგრამ არა, ესეც საბჭოთა კავშირმა დაგვიტოვა. „ბატონს“ და „ქალბატონს“ ქართულში მხოლოდ მიმართვისას ვხმარობთ, მაგალითად, „ბატონო ალექსანდრე“. სხვა შემთხვევაში ან მხოლოდ სახელი უნდა ითქვას, ან სახელი და გვარი: მაგალითად: „ალექსანდრე აქ არ არის“, ან „ალექსანდრე მხეიძე აქ არ არის“.

### როცა გვინდა, სერიოზულები გამოვჩნდეთ

დღეს ყველა „საუბრობს“ და არავინ „ლაპარაკობს“, ყველამ „შეიძინა“ და არავინ „იყიდა“, ყველა „მიირთმევს“ და არავინ „ჭამს“, კი არ „დადის“, „გადაადგილდება“, „მომახსენეს“, „ვმოღვაწეობ“... ეს სიტყვები თითქოს მდაბიურ თქმად მიიჩნევა, სინამდვილეში კი „მივირთვი“ ისეთივე სასაცილოა, როგორც „დავბრძანდი“ „დავჯექის“ ნაცვლად.

### იუბილარი ბავშვი

ამ ბოლო დროს ხშირად წააწყდებით, რომ იუბილეს დაბადების დღის სინონიმად იყენებენ, შესაძლოა ბავშვსაც კი ასე მიულოცონ: „გილოცავ შენი პატარის იუბილეს“. სინამდვილეში იუბილე არის პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის არსებობის, რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ან მოვლენის წლისთავი, რომელსაც საზეიმოდ აღნიშნავენ.

### ორსული კატა

არის სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ადამიანს მიემართება. არ არსებობს ორსული და ფეხმძიმე ცხოველი, ცხოველზე მხოლოდ „მაკე“ ითქმის. ძაღლი შეიძლება იყოს ბებერი და არა მოხუცი. დაბოლოს, ცხოველი შეიძლება იყოს ძუ ან ხვადი, მაგრამ არა ბიჭი ან გოგო.

ესაუბრა თეა თოფურია

# რუსეთი პირნავარდნილი აგრესორია!



**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გაერთიანებულ ერებსა და ევროპის საბჭოს შორის თანამშრომლობის შესახებ რეზოლუცია მიიღო, რომელშიც რუსეთი მოხსენებულია, როგორც აგრესორი ქვეყანა. იმის გათვალისწინებით, რომ, დღეს, ევროპის წინაშე, უკრაინის ომის სახით, უპრეცედენტო გამოწვევები დგას, მანამდე კი, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომის გათვალისწინებით, არსებული მდგომარეობა გაეროსა და ევროსაბჭოს შორის ურთიერთობის გაძლიერებას მოითხოვს, ნათქვამია დოკუმენტში. მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუციის მიღება რუსეთმა მწვავედ გააპროტესტა, დასავლეთმა დოკუმენტი მაინც გაიტანა კენჭისყრაზე. შედეგებმა საყოველთაო გაოცება გამოიწვია: მას 122-მა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი, 15-მა თავი შეიკავა, წინააღმდეგი მხოლოდ რუსეთი, ბელარუსი, სირია, ნიკარაგუა და ჩრდილოეთ კორეა იყო.**

გასაკვირი ისაა, რომ, უკრაინის ომის დაწყებიდან, პირველად, ინდოეთმა და ჩინეთმა რეზოლუციას მხარი დაუჭირა. მანამდე, ეს ორი ქვეყანა ყოველთვის თავს იკავებდა, როცა, კენჭისყრის დროს, რუსეთის მიმართ მწვავე კრიტიკა ისმოდა. დაუჯერებელია, მაგრამ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს, ასევე, ოდეკაბე ალიანსის წევრმა ქვეყნებმა, სომხეთმა და ყაზახეთმა. ბრაზილიამაც, რომელსაც წინათ ნეიტრალური პოზიცია ეკავა, ახლა, რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ რეზოლუციას მხარი დაუჭირა. დოკუმენტის მე-9 პუნქტიდან გამომდინარე, შეიძლება, ითქვას, რომ აღნიშნულმა ქვეყნებმა, დე ფაქტო და დე იურე, რუსეთი აღიარეს, როგორც, აგრესორი ქვეყანა, თუმცა, ალბათ, საქმე მთლად ასე არ არის. თუ გადავხედავთ რეზოლუციის მთლიან ტექსტს, კარგად დავინახავთ, თუ რატომ დაუჭირა მხარი ამ ქვეყნებმა რეზოლუციას.

დასავლელმა ექსპერტებმაც აღიარეს, რომ დოკუმენტი ერთობ გონივრულად, ეშმაკურად და დიპლომატური სიფრთხილითაა შედგენილი. ტექსტში დომინირებს ისეთი ფრაზები, როგორიცაა, მშვიდობის სადარაჯოზე, ტერიტორიული მთლიანობა და სხვა. ყველა ამ ქვეყანას აწუხებს ეს პრობლემები. მაგალითად, ჩინეთს და ინდოეთს, ორივეს, სადავო ტერიტორიები აქვთ. ყაზახეთი დარდობს, რუსეთმა ჩრდილოეთ ყაზახეთის წართმევა არ მოინდომოს, სადაც ორ მილიონამდე რუსი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს.

სომხეთი, ყარაბახის ომის შემდეგ, ტერიტორიული მთლიანობის გარდა, არაფერს არ თხოულობს. მოკლედ, თუ ეს ქვეყნები რუსეთს დაუჭერდა მხარს, მაშინ, თავიანთ თავს შეუქმნიდა პრობლემებს. ამიტომ, არ უნდა ველოდოთ, რომ ჩინეთმა და ინდოეთმა უკრაინის მიმართ პოზიციები შეცვალოს. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ყაზახეთი და სომხეთი. ისინი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ: თითოეულს, საკუთარი პრობლემები აწუხებს, მაგრამ, ამავე დროს, ოდეკაბეს წევრები არიან.

მათ, რა თქმა უნდა, მოუწევთ რუსეთისთვის პასუხის გაცემა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რეზოლუციას იურიდიული ძალა არ აქვს. ის მხოლოდ პოლიტიკური აქტია, რის გამოც, მისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება არ ღირს. სულ სხვა საკითხია რუსეთის ავტორიტეტის შელახვა.

რუსეთი ასამბლეის მორიგე თავჯდომარე იყო, მაგრამ ვერც ლავროვის მონაწილეობამ და სხდომების ხელმძღვანელობამაც ვერ უშველა რუსეთს: რეზოლუცია მაინც მიიღეს. დოკუმენტის მიღებამ, ასეთი ცხადი უმრავლესობით, ხაზი გაუსვა საერთაშორისო არენაზე რუსეთის ავტორიტეტის დაცემას. პირადად, ლავროვს მოუწია დასავლეთის ქვეყნებისგან მწვავე შეფასებების მოსმენა. ასამბლეის მონაწილეებმა თვალნათლივ დაინახეს, რომ რუსეთი რეალურ თვითიზოლაციაშია, რაც, ალბათ, რეზოლუციის დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

# გერმანია განახლებადი ენერგიის ფავორიტია

**გერმანიის ენერგეტიკის ისტორიაში ეპოქალური ამბავი მოხდა: ბოლო სამი მოქმედი ატომური ელექტროსადგური დაიხურა და ამით გერმანიის 60-წლიანი ატომური ენერგეტიკის ეპოპეა დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიამ 20 წლის წინ მიიღო ატომური ენერგეტიკიდან მთლიანად გათავისუფლების გადაწყვეტილება, მაგრამ ყოფილმა ბუნდეს-კანცლერმა, ანგელა მერკელმა, პროცესი შეანელა და ატომური ელექტროსადგურების ეტაპობრივი გათიშვა გადაწყვიტა.**



გადაწყვეტილებას არაერთგვაროვნად შეხვდნენ, როგორც შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ევროპელი, მათ შორის, გერმანელი მწვანეები ამ ამბავს ზეიმით შეეგებნენ. მათი ინიციატივით მოხდა ეს ყველაფერი. გერმანელმა კონსერვატორებმა და მრეწველობის სექტორის წარმომადგენლებმა კი, ღონისძიება სკეპტიკურად მიიღეს. ისინი ზოგადად ეწინააღმდეგებიან ატომური ენერგეტიკის გაუქმებას, მით უმეტეს, ახლა, როცა ევროპას თითქმის აღარ მიეწოდება რუსეთის ენერგორესურსები.

ბავარიის მხარის მეთაურმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზადაა, ისევ აამუშაოს ატომური ელექტროსადგურები. გერმანიის მრეწველობის სექტორს ეშინია, რომ ატომურ ენერგეტიკაზე უარის თქმამ, შეიძლება, დენის ტარიფების ზრდა გამოიწვიოს. გერმანიის ატომური ენერგეტიკის მომხრეებს ზურგს ევროპის რამდენიმე ქვეყანაც უმაგრებს, მაგრამ საფრანგეთსა და გერმანიას შორის, საკითხთან დაკავშირებით, უთანხმოებაა. ევროკავშირმა რამდენიმე წლის წინ გამოაცხადა ევროპის მწვანე, მაგალითად, მზისა და ქარის ენერგიის გამოყენების ინტენსიფიკაცია.

საფრანგეთი კი, ამ საკითხს განსხვავებულად უყურებს. ის მწვანე ენერგიაში ატომურ ენერგეტიკასაც მოიაზრებს, რადგან, ატომური ელექტროსადგური ჰაერს არ აბინძურებს. საფრანგეთს სხვა მხრივაც არ აძლევს ხელს ატომურ ენერგეტიკაზე უარის თქმა, რადგან ქვეყნის ენერგოსისტემაში ატომურ ენერგეტიკას დიდი წილი აქვს. უკრაინის ომმა და გასული წლის ევროპულმა ენერგოკრიზისმა საფრანგეთი კიდევ უფრო დაარწმუნა იმაში, რომ ევროპას ატომური ენერგეტიკა სჭირდება.

ამ აზრს იზიარებს ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყანაც. მაგალითად, ფინეთმა, ამ რამდენიმე კვირის წინ, პირიქით, მწყობრში ჩააყენა ახალი ატომური ელექტროსადგური, რადგან ფინეთი ქრონიკულ ელექტროდეფიციტს განიცდის. ის ინტენსიურად იყენებდა რუსულ ენერგორესურსებს. ახლა კი, როცა რუსეთთან ვაჭრობა შეფერხებულია მოქმედი სანქციების გამო, ფინეთისთვის ატომურმა ენერგიამ მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ატომური ენერგეტიკის მომხმარებელი ქვეყნებია, აგრეთვე, შვედეთი, პოლონეთი და უნგრეთი.

საყურადღებოა, რომ ატომური ენერგეტიკისგან გათავისუფლებული გერმანია აცხადებს, რომ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას ატომურ საწვავს რუსეთი აწვდის და მასვე გააქვს ენერგიის გამომუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები. სწორედ, ამიტომაა გერმანია რუსეთისთვის სანქციების დაწესების მომხრე.

ევროპის მწვანეები და ეკოლოგიური უსაფრთხოების მომხრეები გერმანიის მთავრობას აქებენ გატარებული პოლიტიკის გამო, მიაჩნიათ რა, რომ გერმანიამ კარგი მაგალითი აჩვენა ევროპის ქვეყნებს. მართლაც, ამ ძლიერმა ინდუსტრიულმა ქვეყანამ ფსონი განახლებად ენერგიაზე დადო.

დღესდღეობით, გერმანიაში, მთლიანად მოპოვებული ენერგიის 40 პროცენტს განახლებადი ენერგია შეადგენს, თანაც, ტენდენცია მზარდია. მაგალითად, ჩრდილოეთის ზღვაში, გერმანია, სკანდინავიის ქვეყნებთან ერთად, მსოფლიოში უდიდეს ქარის ელექტროსადგურებს აშენებს. ასევე, ქვეყანაში გაზრდილია მზის ენერგიის გამომუშავება. როგორც გერმანიის მწვანეები ამბობენ, გერმანია განახლებადი ენერგიის გამომუშავების ავანგარდშია, და თუ ეს გერმანული მოდელი გაამართლებს, მთელმა მსოფლიომ უნდა მიბაძოს მას.



# ეთიკის კომისიაა თუ... ინკვიზიცია?!

**პოლიტიკური სკანდალი, რომელიც დიდ ბრიტანეთში აგორდა, ალბათ, მკვეთრ და ხანგრძლივ გავლენას იქონიებს ინგლისურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ქვეყნის ვიცე-პრემიერი და იუსტიციის მინისტრი დომინიკ რააბი გადადგა. მას თანამშრომლების ბულინგში, ანუ დაშინებაში, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებაში ადანაშაულებენ.**

გაკვირვებული და გაღიზიანებული კონსერვატორები დაიბნენ. გადამდგარი მინისტრი მძიმე წონის ინგლისელი პოლიტიკოსია. მის პოპულარობასა და მნიშვნელობას არა მხოლოდ კონსერვატორები აღიარებენ. რააბი, 2010 წლიდან, ბრიტანეთის პარლამენტის წევრია, თან, ძალიან ღირსეული და საჭირო წევრი. იგი დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წევრი იყო ბოლო სამი პრემიერის ხელში, რამდენიმე სხვადასხვა პორტფელით: საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ბრექსიტის.

ამიტომ გამოიწვია მისმა წასვლამ საყოველთაო გაკვირვება და აღშფოთება. ყველამ ჩათვალა, რომ რააბის გადადგომის მიზეზი თითიდანაა გამოწოვილი. ბულინგის გამო, მას შარშან რვა თანამშრომელმა უჩივლა. ითქვა, რომ თანამშრომლებს კი აბულინგებდა, მაგრამ იმდენად არა, რომ ეს გადადგომის მიზეზი გამხდარიყო. დასავლური კულტურა, ზოგადად, და ბრიტანული საზოგადოება, კერძოდ, უაღრესად მგრძნობიარეა ისეთი დარღვევების მიმართ, როგორიცაა ბულინგი და სექსუალური ზეწოლა. თითქმის ყველა დაწესებულებაში არსებობს ეთიკის შესაბამისი კომისია, რომელიც ასეთი სახის საჩივრებს განიხილავს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რვა საჩივრიდან, კომისიამ ექვსი ბათილად ცნო და ორი წარმოებაში მიიღო. გამოძიება, თითქმის, ექვსი თვე გაგრძელდა. რააბს ბრალად თანამშრომლების მიმართ აგრესიულობა ედება, რაც საუბრის უხეშ და ხმამაღალ ტონში გამოიხატებოდა. მან საზოგადოებას წერილობითი ახსნა-განმარტება წარუდგინა და თქვა, რომ, რამდენჯერმე, შეიძლება, მართლაც ზედმეტად აგრესიულად მიმართა თანამშრომლებს, მაგრამ ეს ბულინგად არ მიაჩნია. მისი თქმით, **თანამდებობიდან უფრო იმიტომ გადადგა, რომ მეგობრის, რიში სუნაკის, ხელისშემშლელად არ იქცეს უნებლიედ ქვეყნის მართვის ისედაც გართულებულ დროს.**

შექმნილმა ვითარებამ ბრიტანეთის საზოგადოებაში ცხარე კამათი გამოიწვია. ქვეყანა რააბის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გაიყო.

სოციალური გამოკითხვის მიხედვით, მას მოსახლეობის 70 პროცენტი უჭერს მხარს. მათი აზრით, რააბის გადადგომამ, შეიძლება, ისეთი პრეცედენტი შექმნას, რომ ხალხმა ეთიკის კომისია ინკვიზიციას შეადაროს. არაერთმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ მსგავს მდგომარეობაში, ზუსტად რააბისნაირად მოქცეულან. აღიარებენ, რომ მისი საქციელი დასაგმობია, მაგრამ თუ მივდექით და ყველა სამსახურიდან გავუშვით, საქმის გამკეთებელი აღარავინ დარჩებაო.

გამოითქვა უკმაყოფილება, რომ კანონში გასაგებად არ არის განმარტებული ბულინგისა და სექსუალური ზეწოლის მოვლენა, რასაც ადამიანები, თავიანთი ბოროტი მიზნების მისაღწევად, საკმაოდ ხშირად და მოხერხებულად იყენებენ. ზოგადად, დემოკრატიის მიმართ, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტასაც და მასმედიასაც ერთი კითხვა გაუჩნდა: ნუთუ ასე ადვილია ბიუროკრატული აპარატის მიერ ხალხის რჩეულის გადაყენება? ანუ, ვის ხელშია რეალური ძალაუფლება, დემოკრატიულად არჩეული პირის, თუ რიგითი სახელმწიფო მოხელის?



არ ვიცი, რამდენად მართებულია საკითხის ასე დაყენება, მაგრამ კითხვების დასმა ნამდვილად უპრიანია.

**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

რინგზე

# გაზრდილი საპრიზო ფონდის, ბოიკოტის...

**ამ დღეებში ტაშკენტი მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს 107 ქვეყნის ხელთათმნის 538 ოსტატის მონაწილეობით, რომლებიც 13 წონით კატეგორიაში იბრძვიან უზბეკური ფორუმის მედლებისათვის. უპრეცედენტოდ გაზრდილია ტურნირის საერთო საპრიზო ფონდიც – 5,2 მილიონი დოლარიდან ჩემპიონი 200 ათასით, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები კი, შესაბამისად, 100 და 50 ათასით დაჯილდოვდებიან.**



როგორც მოსალოდნელი იყო, ორგანიზატორთა მიერ რინგზე რუსეთისა და ბელარუსის გუნდების დაშვებამ სკანდალი და მთელი რიგი ნაკრებების ბოიკოტი გამოიწვია (არგენტინა, კანადა, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ნიდერლანდები, ირლანდია, ნორვეგია, ახალი ზელანდია, შვეიცარია, უკრაინა და ამერიკის შეერთებული შტატები).

თუმცა, ომის გარდა, მიმდინარე ბატალიებს დაღი სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებამაც დაასვა, რომელმაც რიგ დარღვევათა გამო კრივის საერთაშორისო ასოციაციას სალიცენზიო ტურნირების გამართვისა და გაძღოლის უფლება ჩამოართვა, რის შედეგადაც პარიზის 2024 წლის თამაშების საგზურები ახალი საკვალიფიკაციო სისტემით გათამაშდება კონტინენტურ ღონისძიებებზე. კერძოდ, ხუთიდან ერთ-ერთი რეგიონის – ევროპის კვოტების განაწილება 9-25 ივნისს კრაკოვსა და მალოპოლსკის სავოევოდოში იწყება.

რაც შეეხება უშუალოდ მუნდიალს, საქართველოს ათკაციანი დელეგაციიდან (ჯვაროსანთა მთავარი მწვრთნელი – **ბეჟან ჭიჭინავა,)** მას ლაშა გაგნიძე (63,5) და ოთარ ნავერიანი (80) უკვე გამოეთიშნენ მეორე წრიდან, ესკერხან მადიევმა (71) ორივე ბრძოლა მოიგო, ხოლო დანარჩენებს თითო გამარჯვება აქვთ.

ნდოგა

# ფიბამ გაანაწილა




**ტრადიციულად, ზაფხული დატვირთულია ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატებით, რომლის ორგანიზატორიც კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია – ფიბა გახლავთ. ვაჟთა და გოგონათა შორის 3 ასაკობრივ კატეგორიაში – 16, 18 და 20-წლამდელებში იმართება საკონტინენტო პირველობები, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია 3 – A, B და C დივიზიონად. ლაპარაკია 20-ზე მეტ მულტიეროვნულ ტურნირზე, რომლებშიც ნაკრებებთან ერთად, ცხადია, უამრავი მსაჯი მონაწილეობს.**

ის ქართველი მსაჯები და კომისარი, რომლებიც ფიბას მოქმედ ლიცენზიას ფლობენ, აქტიურად იქნებიან ზემოხსენებულ ტურნირებში ჩართულები. სამ მსაჯს – მიხეილ ვართანოვს, კირილე თვაურს, მაკა შალამბერიძეს და ერთ კომისარს – მერაბ რატიშვილს ჯამში 8 ტურნირის მომსახურება მოუწევთ.

წარმოგიდგენთ ტურნირებს, რომლებსაც ფიბას ლიცენზირებული ქართველი მსაჯები და კომისარი მოემსახურებიან:

**მიხეილ ვართანოვი (მსაჯი)** – ევროპის 20-წლამდე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, ბ დივიზიონი, 7-16 ივლისი, სკოპიე (ჩრდილოეთ მაკედონია), ევროპის 20-წლამდე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, ბ დივიზიონი, 28 ივლისი-6 აგვისტო, კრაიოვა (რუმინეთი), ევროპის 16-წლამდე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, ა დივიზიონი, 11-19 აგვისტო, იზმირი (თურქეთი).

**კირილე თვაური (მსაჯი)** – ევროპის 18-წლამდე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, ბ დივიზიონი, 21-30 ივლისი, მატუსინიუში (პორტუგალია), ევროპის 16-წლამდე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, ბ დივიზიონი, 4-13 აგვისტო, პიტეშტი (რუმინეთი).

**მაკა შალამბერიძე (მსაჯი)** – ევროპის 20-წლამდე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, ბ დივიზიონი, 28 ივლისი-6 აგვისტო, კრაიოვა (რუმინეთი), ევროპის 16-წლამდე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, ც დივიზიონი, 10-23 ივლისი, ანდორა და ველა (ანდორა).

**მერაბ რატიშვილი (კომისარი)** – ევროპის 18-წლამდე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, ა დივიზიონი, 1-9 ივლისი, ქონია (თურქეთი).

რჩეულნი

# ოსკაროსნები



**პარიზში გაიმართა პრესტიჟული სპორტული პრემიის, Laurct World Sports Awards-ის (არაოფიციალურად – „სპორტული ოსკარები“) დაჯილდოების ცერემონია, რომელმაც შეაჯამა 2022 წელი.**

წლის საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენი გახდა „პარი სენ-ჟერმენისა“ და არგენტინის ნაკრების ფორვარდი **ლიონელ მესი,** რომელიც შარშან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. არგენტინელი გახდა პირველი ისტორიაში, ვინც ორჯერ შეძლო ამ ნომინაციაში Laureus-ის სპორტული აკადემიის ჯილდოს აღება.

წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენია იამაიკელი სპრინტერი **შელი-ენ ფრეიზერ-პრაისი.** მან მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში 100 მეტრზე და პირველი ქალი მძლეოსანი გახდა ისტორიაში, რომელმაც მსოფლიო პირველობაზე ინდივიდუალურ სახეობებში ხუთი ოქროს მედალი მოიგო.

წლის გუნდი გახდა არგენტინის საფეხბურთო ნაკრები. მან 2022 წლის დეკემბერში ყატარში მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა.

წლის გარღვევის პრიზი მიიღო ესპანელმა ჩოგბურთელმა **კარლოს ალკარასმა,** რომელმაც 2022 წელს პირველად მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირი (აშშ-ის ღია პირველობა), აგრეთვე ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პირველი ჩოგანი გახდა.

ნომინაცია „წლის დაბრუნება“ მოიგო „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და დანიის ნაკრების ნახევარმცველმა **კრისტიან ერიქსენმა,** რომელმაც გააგრძელა კარიერა იმის მიუხედავად, რომ 2021 წლის ივნისში, ევრო 2020-ის მატჩის დროს გულის შეტევა მიუვიდა.

# ორიოდე სიტყვით

### ძიუდო

**ბაქო. კადეტთა ევროპის თასის გათამაშება.** საქართველოს ნაკრები – 6 მედალი. **ოქრო:** გიორგი ბენდელიანი (81), ლუკა თევდორაშვილი (90). **ვერცხლი:** თორნიკე ვახტანგაძე (73), ლიზი ქვარცხავა (70):. **ბრინჯაო:** ირაკლი მარკოზაშვილი (50), რომან პაპიაშვილი (81).

რაც შეეხება დოხაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატს, სტარტზე გიორგი სარდალაშვილის (60) მიერ მოპოვებული სენსაციური ბრინჯაოს შემდეგ უმედლოდ დარჩნენ ტოკიოს ოლიმპიადის ფინალისტი ვაჟა მარგველაშვილი (66), ტატამის ყველაზე ტიტულოვანი ქართველი დიდოსტატი ლაშა შავდათუაშვილი (73) და ქალთა გუნდის გამოკვეთილი ლიდერი ეთერ ლიპარტელიანი (57).

### ჩოგბურთი

**თბილისის ალექსანდრე მეტრეველის სახელობის კომპლექსი მზიური.** 40-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. ქალთა წყვილები. **პირველი ადგილი.** ეკატერინე გორგოძე, ანკიტა რაინა (ინდოეთი). აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველმა ჩოგანმა წლევანდელ სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა, სულ კარიერაში კი მას უკვე 17 ტიტული აქვს მოხვეჭილი.

### სნუკერი

**შეფილდი (ინგლისი). მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი.** ლუკა ბრესელი (ბელგია) – ოთხგზის გვირგვინოსანი მარკ სელბი (ინგლისი) – 18:15. აღსანიშნავია, რომ სენსაციურმა ტრიუმფატორმა მეოთხედფინალში თვით შვიდი ტიტულის მფლობელი მასპინძელი რონი ო' სალივანი დაამარცხა – 13:10. იგი ისტორიაში მეოთხე არაბრიტანელი მსოფლიოს ჩემპიონია **კლიფ ტორნბურის** (კანადა), **კენი დოჰერტისა** (ირლანდია) და **ნილ რობერტსონის** (ავსტრალია) შემდეგ.

### ფეხბურთი

**აზიის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი.** ურავა (იაპონია) – ალ ჰილალი (საუდის არაბეთი) – 1:0 (პირველი შეხვედრა – 1:1). ეს იაპონური კლუბის მესამე მსგავსი ტრიუმფია 2007 და 2017 წლების შემდეგ. ტურნირის უძვირფასეს მოთამაშედ **ჰიროკი საკაი** (ურავა) დასახელდა, ხოლო საუკეთესო ბომბარდირი 8 გოლით **ედმილსონ ჟუნიორი** (ალ ჰილალი) გახდა.

**ესპანეთის სამეფო თასის ფინალი.** რეალი – ოსასუნა 2:1.

**უეფას ჩემპიონთა ლიგა. პირველი ნახევარფინალური მატჩი.** რეალი – სიტი 1:1, **გოლები:** ვინისიუს ჟუნიორი; დე ბრუინი.

### ქვიშის ჭიდაობა

**არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში ქვიშის ჭიდაობაში მეორე მსოფლიო თამაშების მე-**



**ოთხე სალიცენზიო ტურნირი გაიმართა, რომელიც ამავდროულად იყო მსოფლიო სერიის პირველი ეტაპი.** საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია – 3 ოქროს, 1 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ: ნიკა კენჭაძე (80 კგ), დავით ფირუზაშვილი (90 კგ) და მამუკა კორძაია ((90 კგ), ვერცხლის მედალს დაეუფლა ლევან ქელეხსაშვილი (70 კგ), დავით ხუციშვილმა (90 კგ) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქვიშის ჭიდაობაში მსოფლიო სერიის მეორე ეტაპს სინგაპური ივნისში უმასპინძლებს.




# მეოთხე დუბლი

**მაქს ფერსტაპენმა, იმის მიუხედავად, რომ სტარტი მეცხრე პოზიციიდან აიღო, მაიამის დიდი პრიზის რბოლა მაინც მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატში ლიდერობა განიმტკიცა. რბოლის მიწურულს მან უკან მოიტოვა თანაგუნდელი სერხიო პერესი, ვინც სტარტი პოულ პოზიციიდან აიღო, მესამე ადგილი კი, ამ სეზონში უკვე მეოთხედ, ფერნანდო ალონსომ დაიკავა.**

ფერსტაპენს, ვინც გასულ სეზონში მაიამის პირველი დიდი პრიზი მოიგო, კვალიფიკაციაზე არ გაუმართლა – პირველი ცდა ვერ დააფიქსირა, მეორე ცდის საშუალება კი შარლ ლეკლერის ავარიამ არ მისცა, თუმცა ამას გამარჯვებაში ხელი არ შეუშლია.

ნიდერლანდელმა რისკიანი ტაქტიკა აირჩია – საბურავები (ჰარდები) რბოლის მიწურულს შეცვალა და სუპერსოფტებზე გადავიდა. ამან პერესთან ბრძოლაში გადამწყვეტი უპირატესობა მისცა. ჩემპიონმა სწრაფად აღმოფხვრა თანაგუნდელთან ჩამორჩენა და პირველივე ცდაზე გაასწრო მას. პერესმა განაცხადა, რომ მედიუმ საბურავებით ასპარეზობა შეცდომა იყო და ამან რბოლის ბედი გადაწყვიტა.

რბოლა იმითაც იყო გამორჩეული, რომ ის ყველა პილოტმა დაასრულა და უსაფრთხოების მანქანა ტრასაზე ერთხელაც არ გამოსულა.

**მაიამის დიდი პრიზი**

**უსწრაფესი წრე**: მაქს ფერსტაპენი – 1:29.708 (56-ე წრე, 217.184 კმ/სთ)

**მრბოლთა კლასიფიკაცია**

1. მაქს ფერსტაპენი – 119 ქულა; 2. სერხიო პერესი – 105; 3. ფერნანდო ალონსო – 75; 4. ლუის ჰამილტონი – 56; 5. კარლოს საინსი – 44.

**კონსტრუქტორთა ჩემპიონატი**

1. რედ ბული – 224 ქულა; 2. ასტონ მარტინი – 102; 3. მერსედესი – 96; 4. ფერარი – 78.

## წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში პირველქადაგებლისა

**12 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ანდრია პირველწოდებულის ხსენებას.**



ყველასათვის ცნობილია, რომ ანდრია პირველწოდებული იყო ქრისტეს პირველი მოწაფე, ამიტომაც ეწოდა მას პირველწოდებული. მანვე დაუმოწაფა ქრისტეს თავისი ძმა პეტრე, შემდეგ – მოციქულთა თავი, ანდრია და პეტრე წარმოშობით ბეთსაიდიდან იყვნენ, ხელობით მებადურნი. თავდაპირველად ანდრია იოანე ნათლისმცემელს დაემოწაფა, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად სწორედ მათ ეჩვენა იესო ქრისტე და ამცნო, რომ ისაა ძე ღმრთისა.

საგულისხმოა ისიც, რომ სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ, მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. წმიდა ანდრიას წილად ხვდა შავი ზღვისპირა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი და სკვითია, ანუ მიწა, რომელზეც შემდეგ რუსეთი წარმოიქმნა.

აღსანიშნავია, რომ სიმონ კანანელთან და მატათასთან ის საქართველოს განმანათლებლად ითვლება.

**გიული ლიპარტია**

## სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლებით უკვე 100-მდე მოქალაქემ ისარგებლა

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ანგარიშის თანახმად, ყველა მოქალაქეს მის სისხლის სამართლის საქმესთან წვდომისა და საქმის მასალების გაცნობის უფლება მიეცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლებით უკვე 100-მდე მოქალაქემ ისარგებლა

**„სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2022 წლის საქმიანობის ანგარიში გამოაქვეყნა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გადაწყვეტილების მიხედვით, ყველა იმ მოქალაქეს და პოტენციურ დაზარალებულს, რომელიც შეიძლება არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი იყოს, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება მიეცა. ეს გამჭვირვალე გამოძიების წარმოების საუკეთესო მოდელია, რომელიც სრულად შეესაბამება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.**

**ამ წესის ამოქმედებიდან დღემდე, 100-მდე დაინტერესებულმა მოქალაქემ და მათმა ადვოკატმა ისარგებლა უკვე ამ შესაძლებლობით.**

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მთავარ პრიორიტეტს გამჭვირვალე გამოძიების სტანდარტების დახვეწა და პოტენციურ მსხვერპლთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა წარმოადგენს.**




## თაღლითთა არის მრავლობა...

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ერთი პირი მიეცა.**

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დეკრეტულ შვებულებაში მყოფ მოქალაქეებზე გათვალისწინებული ფულადი დახმარების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ბრალდებული, 2021-2022 წლებში წინასწარ მოფიქრებული სქემის მიხედვით, დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა ორსულ ქალებთან და ფიქტიურად გააფორმა ისინი მის მმართველობაში არსებულ საწარმოებში, შემდგომ დაამზადა ყალბი დოკუმენტები, რითიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან თითქოსდა საწარმოებში დასაქმებული 237 პირის მიერ მიღებულ იქნა ორსულებისთვის გამოყოფილი ერთჯერადი ფულადი დახმარება, ჯამში, 237 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა განაწილებულ იქნა ბრალდებულსა და ორსულ ქალებს შორის.

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე და 180-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.



---



**ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, იგორ ქობალია, გურამ გუნავა, ლერი ჭითანავა, გიორგი ყუფუნია, ალენ მიურატი, გიორგი ჭითანავა, ნუგზარ ანთელავა, ვაჟა ფიფია, დავით ჭითანავა, ვახტანგ ანთია, მამუკა ქობალია, ოთო ჭითანავა, კოტე მანია, იუზა ყუფუნია, რეზო არდია, კახა არდია, ოთარ ჭითანავა უსამძიმრებენ ქალბატონ ლალი ანთიას ძმის, გამოჩენილი სამეურნეო და საზოგადო მოღვაწის**

### კობა ანთიას

**გარდაცვალების გამო. ასევე გულითადად თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ მეგობარსა და კოლეგას, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ დიდი ოჯახის წევრს, მანჩო ვაშაკიძეს ძვირფასი დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის**

### ლოიდა რევიშვილი-ვაშაკიძის

**გარდაცვალებას.**



**ინგა და მამუკა ვაშაკიძეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან უკეთილშობილესი ქალბატონის**

### ლოიდა რევიშვილი-ვაშაკიძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის შვილებს მანჩო და მაია ვაშაკიძეებს, ნათესავებსა და ახლობლებს.**

---

## გირაოთი გათავისუფლებაზე უარი ეთქვა



**საქართველო-ისრაელის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის, იციკ მოშეს მკვლელობის მომზადების საქმის ფარგლებში დაკავებული ამირხანი პატიმრობაში რჩება.**

მოსამართლემ გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. პაკისტანის მოქალაქეს პროკურატურა ამ ეტაპზე იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება. საქმეში კიდევ ორი დაკავებული ფიგურირებს – ორივე საქართველოსა და ირანის ორმაგი მოქალაქეები არიან.

---

## უბედური შემთხვევა ესპანეთში

**ესპანეთში მომხდარ უბედურ შემთხვევას 3 წლის ქართველი გოგონა ემსხვერპლა.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ბავშვი მეექვსე სართულიდან გადავარდა და გარდაიცვალა.**

**მომხდარის შესახებ ინფორმაციას გარდაცვლილის დედა სოციალურ ქსელში ავრცელებს. შემთხვევა 9 მაისს მოხდა.**



## იზოლატორიდან გაქცევა სცადა!

**ისრაელში საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელმაც ისრაელის საემიგრაციო იზოლატორიდან გაქცევა კედელში არსებული ხვრელით სცადა.** არსებული ცნობით, შემთხვევა „ბენ გურიონის“ აეროპორტის წინასწარი მოთავსების იზოლატორში მოხდა. ქართველი ემიგრანტი იზოლატორში საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით იყო მოთავსებული.

ოფიციალური უწყების ცნობით, ქართველმა ემიგრანტმა კედელზე ხვრელი აღმოაჩინა და გვირაბის გათხრა თანამესაკნესთან ერთად დაიწყო. აღნიშნული ფაქტი უსაფრთხოების სამსახურის მიერ იქნა აღმოჩენილი. საქართველოს მოქალაქეს ბრალდება გაქცევის მცდელობის ორგანიზებისთვის აქვს წარდგენილი. თანამესაკნეების დეპორტირება კი მოლდოვაში მოხდა.

# საქართველოს მთავარი ტურისტული პორტალი

**ციფრული ტრანსფორმაციის პროექტის ფარგლებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საქართველოს მთავარი ტურისტული პორტალის წარდგინება მოაწყო. Georgia.travel-ის ახალი ვებგვერდი 70-მდე ქვეყნის ტურისტული პორტალის კვლევისა და ანალიზის შედეგად მომზადდა.**

ვებგვერდზე საქართველოს მნიშვნელოვანი სანახაობებისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ დარგის კონსულტანტების ჩართულობით 3 200-მდე სტატია მომზადდა და აიტვირთა ქართულ და ინგლისურ ენებზე.



აქ ინტერაქციული რუკით ვიზიტორს შეუძლია გაფილტროს რეგიონები, ადგილები. ინტერესის მიხედვით შეარჩიოს და სურვილების კალათაში შეინახოს სასურველი ლოკაცია, გაეცნოს ინფორმაციას, დაათვალიეროს ფოტოები, რაც აისახება პირად რუკაზე და ვიზიტორს საშუალება ექნება დაგეგმოს მოგზაურობა საქართველოში. ახალ პორტალზე განთავსებულია ლაშქრობების, საფეხმავლო ტურების გეგმები, რაც შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული მიმართულების განვითარების და სათავგადასავლო მიმართულებით დაინტერესებულ ვიზიტორს საშუალება აქვს ინფორმაცია მიიღოს საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის პოტენციალის შესახებ.

ვებგვერდზე მოეწყო საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ერთიანი ბაზა. ვიზიტორს შეუძლია აირჩიოს სასურველი მარშრუტი და დაგეგმოს მოგზაურობა რკინიგზით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით და სხვა ტრანსპორტით.

აქვე ატვირთულია ტურისტულად საინტერესო ღონისძიებების კალენდარი საქართველოს მასშტაბით. ამ მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს როგორც კერძო სექტორთან, ასევე სხვადასხვა უწყებებთან.

ვებგვერდი სრულად ადაპტირებულიი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. საქართველოს მთავარი ტურისტული პორტალისთვის შემუშავდა პოზიცინირების სტრატეგია, როგორც საძიებო სისტემების ოპტიმიზაციის ნაწილში, ასევე ციფრული რეკლამირების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს პორტალის სწორ პოზიციონირებას და მიზნობრივი ვიზიტორების მოზიდვას განაპირობებს. საქართველოს მთავარ ტურისტულ პორტალს 200-მდე ქვეყნიდან უკვე ეწვია 18 მილიონამდე უნიკალური ვიზიტორი. ვებგვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია თანამშრომლობს საერთაშორისო პლატფორმებთან: Booking, Tripadisor, Wikiloc და სხვა".

# მესხეთელები მარჯანიშვილს სტუმრობენ

**მესხეთის თეატრმა მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი გამართა. მაყურებელს თეატრის დასმა დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება" წარუდგინა.**

სპექტაკლის რეჟისორი საბა ასლამაზაშვილია. „ირინეს ბედნიერებას" არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. წარმოდგენამ სრული ანშლაგით ჩაიარა.



# „წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის ეს ქალი!"



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სასამართლოს მიერ მის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს სამარცხვინოს უწოდებს.

**„საერთოდ არ მაქვს წარმოდგენა, ვინ არის ეს ქალი. ეს ვერდიქტი სამარცხვინოა, ყველა დროის უდიდეს კუდიანებზე ნადირობის გრძელდება",** – წერს ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი სოციალურ ქსელში. დონალდ ტრამპი მანჰეტენის სასამართლომ მწერალ ელიზაბეთ ჯინ კეროლის სექსუალური შევიწროებისა და ცილისწამებისთვის დამნაშავედ ცნო, ხოლო გაუპატიურების ბრალდება არ გაიზიარა.

ელიზაბეთ ჯინ კეროლის მტკიცებით, დონალდ ტრამპმა მასზე 1996 წელს მანჰეტენის ერთ-ერთი მაღაზიის გასახდელ ოთახში სექსუალურად იძალადა. ტრამპს სასამართლომ ელიზაბეთ ჯინ კეროლისთვის ჯამში ხუთი მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

# ბახმუტთან ფრანგი ჟურნალისტი დაიღუპა



**ბახმუტთან საარტილერიო იერიშის დროს სააგენტო „ფრანს პრესის" ჟურნალისტი არმან სოლდენი დაიღუპა. ამის შესახებ იუწყებიან სოლდენის კოლეგები, რომლებიც მისი დაღუპვის თვითმხილველები გახდნენ. გავრცელებული ცნობით, ჟურნალისტი ქალაქ ჩასოვი იართან იმყოფებოდა, როდესაც საარტილერიო იერიში დაიწყო.**

საარტილერიო ჭურვი ჟურნალისტის სიახლოვეს აფეთქდა, რის შედეგად ის დაიღუპა. გადამღები ჯგუფის სხვა წევრები არ დაშავებულან. როგორც „ფრანს პრესის" ხელმძღვანელმა, ფაბრის ფრისმა განაცხადა, მომხდარის გამო, მთელი სააგენტო შოკირებულია. მისივე თქმით, არმან სოლდენის დაღუპვა კიდევ ერთხელ ახსენებს ყველას იმ საფრთხეებს, რომელსაც ყოველდღე აწყდებიან უკრაინაში მყოფი ჟურნალისტები. არასამთავრობო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ინფორმაციით, უკრაინაში რუსეთის მიერ წამოწყებული ომის შემდეგ სულ მცირე 11 ჟურნალისტი დაიღუპა.

# მეტეორიტი... საძინებელში



**აშშ-ში მეტეორიტი საცხოვრებელ სახლს დაეცა. ინციდენტი ნიუ-ჯერსის შტატში, ჰოუპველში მოხდა. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, მეტეორიტის სიგრძე 15 სანტიმეტრი, სიგანე კი 10 სანტიმეტრია. მეტეორიტმა საცხოვრებელი სახლის სახურავი ჩაანგრია და ერთ-ერთ საძინებელში ჩამოვარდა.**

ინციდენტის დროს სახლში არავინ იმყოფებოდა. მეტეორიტი მოგვიანებით სახლის პატრონმა იპოვა. ფრანკლინის ინსტიტუტის წამყვანი ასტრონომის, დერეკ პიტსის თქმით, მეტეორიტის ასაკი შესაძლოა 4-5 მილიარდ წელს აღწევდეს.

# თავდასხმა სინაგოგაზე

**ტუნისში, კუნძულ ჯერბაზე სინაგოგაზე განხორციელებულ თავდასხმას 3 ადამიანი ემსხვერპლა, 9 კი დაშავდა.**

მოკლულთა შორის 1 საფრანგეთის მოქალაქეა. როგორც მედია წერს, თავდამსხმელი სამხედრო პირია, რომელიც ადგილზე მოკლეს.




# ხანძრებს 19 ადამიანი ემსხვერპლა

**ციმბირის სიახლოვეს, კურგანის ოლქში მასშტაბური ხანძრის შედეგად სულ მცირე 19 ადამიანია დაღუპული. როგორც რუსული ონლაინ გამოცემა TACC რეგიონის სამედიცინო სამსახურზე დაყრდნობით წერს, მსხვერპლის რაოდენობა შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.**

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ დაღუპულთა უმეტესობა სოფელ ულდუსის მაცხოვრებელია. ამას გარდა, 13 ადამიანს სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება აქვს მიღებული. საგანგებო სიტუაციების სამინისტროს რეგიონული დირექტორის თქმით, მომხდარზე სისხლის სამართლის შვიდი მუხლით არის აღძრული საქმე, მათ შორის, ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო სხვისი ქონებისა და ტყის მასივების განადგურების მუხლებით. როგორც **TACC** წერს, 2023 წლის დასაწყისიდან, ლანდშაფტის ტერიტორიაზე ხანძრის გაჩენის ფაქტებზე 46 პირია მხილებული, მათ შორის არიან ბავშვებიც. **„მათ ჯამში 235,000 რუბლის ოდენობის 24 ჯარიმა აქვთ დაკისრებული",** – წერს გამოცემა.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 მაისს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5294; ევრო - 2.7707;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1913;
100 რუბლი - 3.2257; თურქული ლირა - 0.1273;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4632;
1000 სომხური დრამი - 6.4243

**ამინდი 11 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +20 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე +21 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge